



## ბრბოსა და ელიტის თეორია

ს. სიგელეს: დამნაშავე ბრბოს თეორია,  
გ. ლებონი: ბრბოსა და ელიტის თეორია.

1. სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება ს. სიგელეს მიხედვით
2. დამნაშავე ბრბოს სიგელესეული ანალიზი
3. გუსტავ ლებონის ბრბოსა და ელიტის თეორია
4. ლებონის ფსიქოლოგიზმი
5. იდეათა როლი ცივილიზაციის განვითარებაში(გ.ლებონი)
6. ლებონის სოციალურ-ფსიქოლოგიური მოძღვრება
7. სოციალურ ცვლილებათა ახსნის ორი გზა(გ. ლებონი)

### საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

ბრბო, დამნაშავე ბრბო, კოლექტიური ფსიქოლოგია, მიბაძვა, კოლექტიური სული, ელიტური სტრუქტურა, მასების ფსიქოლოგია, გამოხატავენ: "ხალხის ბელადი ვერ გახდები, თუ მის ოცნებებს არ განასახიერებ" (გ. ლებონი), „იდეალები ადამიანთა ილუზიებია“ (გ. ლებონი), ნიველირებული სუბიექტი, ბრბოს სახეები, ანონიმური და არაანონიმური ბრბო, ხალხის სული, "რწმენას არ ჰყავს რწმენაზე უფრო სერიოზული მტერი" (გ. ლებონი), ხასიათი და ჭკუა, "ცივილიზაციები ძირითადად იდეათა შედეგია და იდეათა ცვლილებასთან ერთად იცვლებიან" (გ. ლებონი).

1. სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება ს. სიგელეს მიხედვით.

მე-19 საუკუნის ბოლოს რამდენიმე ნაშრომი გამოვიდა, რომელთა მიზანი ახალი სოციალური ჯგუფის ბრბოს ანალიზის საფუძველზე კოლექტიური ფსიქოლოგიის დაფუძნება იყო. მათ შორის ერთ - ერთი ს. სიგელეს ნაშრომი - "დამნაშავე ბრბოა". ეს შრომა რამდენიმე მიმართებითაა მნიშვნელოვანი: მასში გ. ტარდსა და სხვა თანამედროვე მოაზროვნეებზე დაყრდნობით გაკეთებულია თეორიული განზოგადება, რომელშიც განიხილება ორგანიციტულ სოციოლოგიასთან მიმართება, სოციალური ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის განსხვავება, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დამოკიდებულება და მათ მიჯნაზე ახალი თეორიის - კოლექტიური ფსიქოლოგიის დასაბუთება, და რაც მთავარია, სიგელეს ამ



ნაშრომში ნაცადია სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრება ისეთი ელემენტის შემოტანით, როგორცაა ბრბო. სიგელე ამ ცნებას სამართლის სოციოლოგიის კუთხით ანალიზებს. მას დამნაშავე ბრბო და მისი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა აინტერესებს. ბრბოს ცნობილი თეორეტიკოსი გუსტავ ლებონი მიუთითებს, რომ მის მიერ ბრბოს საკითხის დაყენებას წინ ბრბოს სიგელესეული ანალიზი უსწრებდა.

სიგელეს მიზანია, ინდივიდის შემსწავლელი ფსიქოლოგიისაგან და საზოგადოების შემსწავლელი სოციოლოგიისაგან გამოაცალკევოს დარგი, რომელსაც საქმე ინდივიდთა ერთობებთან ექნება. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთდება, რომ სოციალური ერთობანი, მათი შემადგენელი ინდივიდებისაგან განსხვავებით, კანონზომიერებებს ექვემდებარებიან, ე.ი. თუ სოციალური აგრეგატების ქცევა სოციალურ ინდივიდთა ქცევის ჯამზე არ დაიყვანება. მცდარია მტკიცება, "რომ ადამიანთა საზოგადოება უნდა განიხილოს როგორც ერთი, ყოველთვის არსებული პიროვნება". სიგელეს აზრით, ამ შეცდომის წყაროა არაორგანული სამყაროს კანონზომიერების საზოგადოებაზე გადატანა. არაორგანულ სამყაროში მოვლენის შემადგენელი ელემენტები მთელი აგრეგატის ხასიათს განსაზღვრავენ. ამდენად, მართებულია სპენსერის მტკიცება, რომ აგურები, რომელთაც სწორი კუთხეები აქვთ და კარგად არიან გამომწვარნი, კირის გარეშეც მშენებელს საშუალებას აძლევენ, საკმაოდ მაღალი კედელი ამოიყვანოს, მაგრამ თუ იგივე აგურები ცუდად გამომწვარია, კუთხეები უსწორმასწორო აქვს და ჩამოტეხილი, კედლები არ აიგება. ასეთ შემთხვევაში აგრეგატის ხასიათი დამოკიდებულია მის შემადგენელ ელემენტებზე, მაგრამ ეს პრინციპი კონტმა და სპენსერმა უმართებულოდ გაავრცელეს საზოგადოებაზე. მათი აზრით, მტკიცება - "აგრეგატის ხასიათი მის შემადგენელ ერთეულთა ხასიათზეა დამოკიდებული, უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ საზოგადოების კოლექტიურ ორგანიზმზე, არამედ ყველა დანარჩენებზეც, რომელნიც მათ შეადგენენ". სიგელე საკითხის გადასაწყვეტად აუცილებლად თვლის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიმართების გარკვევას. თუ აგრეგატისა და ინდივიდის გაიგივებიდან ამოვალთ, მაშინ უდავოა, რომ სოციოლოგია სხვა არაფერია, თუ არა გადიდებული ფსიქოლოგია, რადგან ფსიქოლოგია შეისწავლის ცალკეულ ინდივიდს, სოციოლოგია - საზოგადოებას, როგორც ინდივიდს. ფსიქოლოგიას ერთ ორგანიზმთან - ადამიანთან აქვს საქმე, სოციოლოგიას კი - ორგანიზმთა ერთობლიობა - საზოგადოებასთან, რომელიც ორგანიზმის კანონზომიერებას ექვემდებარება. ეს ნიშნავს, რომ "ამ თვალსაზრისის მიხედვით, სოციოლოგია ძირეულ ნიშნებში ფსიქოლოგიის ზუსტი რეპროდუქციაა, თუმცა შეუდარებლად უფრო რთული და ვრცელი რეპროდუქციაა. ფსიქოლოგია სწავლობს ადამიანს. სოციოლოგიას საქმე სოციალურ სხეულთან აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ერთის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება მხოლოდ მეორის თვისებებით აიხსნას. ამიტომაც სოციალური ორგანიზმის ფუნქციები ადამიანის ორგანიზმის ფუნქციებთან ანალოგიური.



ესპინასის თქმით, სოციალური ინდივიდუალობა ადამიანური ინდივიდუალობის პარალელურია. ამგვარად, სოციოლოგია სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგია en grand, რომელშიც უფრო ვრცლად და ფართოდ აისახება ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მთავარი კანონები. ტარდის შესანიშნავი გამოთქმით, "სოციოლოგია ფსიქოლოგიის მზიური მიკროსკოპია". სიგელე ფიქრობს, რომ შეცდომა ინდივიდუალური და სოციალური ორგანიზმის გაიგივებაა. მისი აზრით, განსხვავებულია ფსიქოლოგიური კანონები, რომლებიც ინდივიდთა ჯგუფებს მართავენ. ჯგუფის ხასიათს არ ქმნის პიროვნებათა ხასიათის ჯამი. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ჯგუფი, ანუ ინდივიდთა კრებული, ხშირად გამოიტანს გადანწყვეტილებას, რომელიც სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც ამ ჯგუფის თითოეული ინდივიდი გამოიტანდა ცალკე რომ ყოფილიყო. მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენელთა ჯგუფური დასკვნები, არც მეცნიერების და არც ხელოვნების პრინციპებს არ ემყარება. ხშირია შემთხვევა, როცა "ადამიანთა ძალები გაერთიანების შედეგად კი არ ემატებიან ერთმანეთს, არამედ ისპობიან". სიგელე იმონმებს იმ მოაზროვნეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ოცი თუ ოცდაათი გენიოსი, მათ შორის ისეთები, რომლებიც იყვნენ, მაგალითად, გოეთე, კანტი, ნიუტონი და სხვ., ერთობლივად ისეთ გადანწყვეტილებას გამოიტანენ, რომელიც არაფრით არ იქნება განსხვავებული რიგითი ადამიანების გადანწყვეტილებისაგან, ამიტომ მართებულია რომაელთა გამოთქმა: "სენატორები საპატივცემულო ადამიანებია, სენატი კი - ცხოველთა კრებული". ამის დადასტურება შეიძლება ადამიანთა ყველა თავყრილობის განხილვისას, როგორცაა: ლექციის მსმენელთა აუდიტორია, თეატრის მაყურებელი, საჯარო ღონისძიებების დამსწრენი და სხვ. ყოველივე ეს უარყოფს სპენსერის მტკიცებას, რომ აგრეგატის ხასიათი მის შემადგენელ ერთეულთა ხასიათით განისაზღვრება. ამდენად, ფსიქოლოგია და სოციოლოგია არ ემთხვევა ერთმანეთს, მათ შორის კი შეიძლება მოთავსდეს დისციპლინა, რომელიც ორივესგან განსხვავდება, და აგრეგატებს ჯგუფების სახით შეისწავლის. ამიტომ სიგელე ფერისთან ერთად ამტკიცებს, რომ "ფსიქოლოგიასა, რომელიც ინდივიდს სწავლობს და სოციოლოგიას, რომელსაც მიზნად მთელი საზოგადოების შესწავლა დაუსახავს, შორის არის ადგილი მეცნიერების განსაკუთრებული ნაწილისათვის, რომელსაც შეიძლება კოლექტიური ფსიქოლოგია ეწოდოს. ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდთა ისეთი ერთობლიობით იქნება დაკავებული, როგორცაა მსაჯულთა სასამართლო, კრებები, ყრილობები, თეატრები და სხვ. რომელნიც არც ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას და არც სოციოლოგიის კანონებს არ ექვემდებარებიან". სიგელე არა მხოლოდ აფიქსირებს ინდივიდთა და მათგან შედგენილ აგრეგატთა ქცევაში განსხვავებას, არამედ ახსნის კიდევ ამ განსხვავების მიზეზებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ორ მიზეზს თვლის: ადამიანთა ამ კრებულების არაერთგვაროვნებასა და არაორგანულობას. რადგან ადამიანთა კრებულები



არაერთგვაროვანია, განსხვავებული ტიპები და ხასიათები, განსხვავებულ შედეგებს იძლევიან. რომ ავიღოთ მსოფლიო საკრებულო, ის არ ასახავს მის შემადგენელ ინდივიდთა თვისებას იმგვარად, როგორც ამას, მაგალითად, გერმანელთა ან იტალიელთა საკრებულო გამოხატავს, რომელთაც ერთიანი ეროვნული ხასიათი აკავშირებთ. ფსიქოლოგიურ ელემენტთა განსხვავებულობა გამორიცხავს აგრეგატსა და მის შემადგენელ ინდივიდებს შორის იგივეობას. იგივეობისთვის აუცილებელია ფსიქოლოგიურ ელემენტთა ერთგვაროვნება და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, თუკი ეს ერთეულები მუდმივ კავშირსა და ორგანულ ერთიანობაში იქნებიან. ამიტომ, სიგელეს აზრით, "ადამიანთა შემთხვევითი არაორგანული კავშირები, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თეატრის მაყურებელი, ბრბო, თავიანთი ხასიათის გამოვლინებისას მათ შემადგენელ ელემენტთა ხასიათს ვერ აღადგენენ". სიგელე, რომელიც ინდივიდის და აგრეგატის - პიროვნების და სოციალურის გაიგივებას ემიჯნება, მას მაინც შესაძლებლად თვლის გარკვეულ შემთხვევაში, თუკი სოციალურში ერთეულთა ერთგვაროვნება და ორგანული კავშირი უზრუნველყოფილი იქნება. ასეთ შემთხვევაში, სოციოლოგიაც ისეთი იქნება, როგორც ტარდს წარმოუდგენია - კერძოდ, დიდი მასშტაბის ფსიქოლოგია, მაგრამ სიგელე არ ეთანხმება იმას, რომ ყოველგვარი სოციალური აგრეგატი ერთგვაროვნობითა და ორგანული კავშირით ხასიათდება. ასეთ არაერთგვაროვან და არაორგანულ აგრეგატებს მიეკუთვნებიან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თეატრის მაყურებლები, ბრბო, და სხვა შემთხვევით თავმოყრილი ადამიანები. ამიტომ ამ ფენომენის შესასწავლად აუცილებელია ცალკე დისციპლინა - კოლექტიური ფსიქოლოგია. სიგელეს აზრით, "სადაც სოციალური აგრეგატები ერთგვაროვანია და ორგანული კავშირებითაა გაერთიანებული, მათ მართავს სოციალური კანონები, რომელნიც, თუმცა უფრო ფართო მასშტაბისა, მაგრამ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პარალელურია. რაც უფრო ნაკლებადაა აგრეგატები ერთგვაროვანი და მათ შორის კავშირები რაც უფრო მცირდება, მათდამი სოციოლოგიური კანონების გამოყენება სულ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი და უკანასკნელთ ცვლის კოლექტიური ფსიქოლოგიის კანონები, რომელნიც სრულიად განსხვავდებიან ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კანონებისაგან". კოლექტიურმა ფსიქოლოგიამ ეს კანონები უნდა შეისწავლოს, ამიტომ მას საქმე უნდა ჰქონდეს ობიექტთან, რომელიც ამ კანონებს ექვემდებარება. ეს ობიექტი, ადამიანთა შემთხვევითი თავყრილობები, განსხვავდება როგორც სოციოლოგიის, ისე ფსიქოლოგიის ობიექტისაგან. "კოლექტიურ ფსიქოლოგიას სრულიად სხვა სფერო უკავია და თავის განვითარებაში სოციოლოგიის საპირისპირო გზით მიდის. მას მოქალაქეობის უფლება აქვს იქ, სადაც სოციოლოგიას სრულიადაც არა აქვს ადგილი. და მისი კანონები მართავენ იმას, რაზეც სოციოლოგიურმა კანონებმა ძალა დაკარგეს". ასეთ სფეროთაგან სიგელეს განსაკუთრებულ მნიშვნელობისად ბრბო ესახება. ამიტომ



კოლექტიური ფსიქოლოგიის აგებას ბრბოს ანალიზით იწყებს. "ბრბოს ფსიქოლოგიის შესწავლა კოლექტიური ფსიქოლოგიის შესწავლაა". ეს ფენომენიც სიგელესთან მხოლოდ ერთი სახეობითაა წარმოდგენილი, დამნაშავე ბრბოს სახით. ბრბოს ცნება სიგელეს გაბრიელ ტარდიდან აქვს აღებული. სიგელეს ნაშრომის ძირითადი საკითხია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანთა მასების პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, რომელსაც ისინი ჯგუფებად, თუ მასებად თავმოყრილნი სჩადიან. სიგელე არ ეთანხმება ტაციტუსის დებულებას: "სადაც დამნაშავე ბევრია, იქ არავინ არ უნდა დაისჯოს". სიგელეს აზრით, ყველა დანაშაული მოითხოვს სასჯელს და არც ბრბოს დანაშაული უნდა იყოს გამონაკლისი, სხვანაირად შეუძლებელია ბრბოს დანაშაულთან ბრძოლა. სიგელე კლასიკური სისხლის სამართლის ნაკლად თვლის იმას, რომ არ ითვალისწინებდა დამნაშავეს ანთროპოლოგიურ და სოციალურ გარემოს და დანაშაულს მხოლოდ დამნაშავეს თავისუფალი ნებელობით ხსნიდა. სიგელე პოზიტივისტური სკოლის დამსახურებად დანაშაულის ანთროპოლოგიური, ფიზიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას და, ამავე დროს, იმის ჩვენებას მიიჩნევს, რომ ცალკეულ ინდივიდთა დანაშაული განსხვავებულია, რადგან ამ ორ დანაშაულში ანთროპოლოგიური და სოციალური ფაქტორები სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ. პოზიტივისტურ სამართალში აღნიშნულ "კოლექტიური დანაშაულის" ცნებას, რომელიც დემაგოგის მიერ მოხიბლული ბრბოს საქციელთანაა დაკავშირებული, სიგელე გამოხატავს ტერმინით, - "ბრბოს დანაშაული". ფიქრობს, რომ კოლექტიური დანაშაული ორი ფორმისაა: 1) ბუნებრივი მიდრეკილებით განპირობებული, მაგ. მათია, და 2) ვნებებით. ეს უკანასკნელია ბრბოს დანაშაული. პირველი განსაზღვრულია ანთროპოლოგიურით, მეორე კი სოციალური ფაქტორებით.

## 2. დამნაშავე ბრბოს სიგელესეული ანალიზი

სიგელე სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიმართებას მხოლოდ გაკვრით შეეხო, რამდენადაც უნდოდა დაესაბუთებინა მათი საგნისაგან განსხვავებული სფერო ბრბოს სახით, რომელიც კოლექტიური ფსიქოლოგიის საგნად გამოაცხადა. საერთოდ სიგელესეული ანალიზი უფრო პრაქტიკულ მიზნებს ისახავს. ამიტომ თეორიულ ცნებებს ის სხვისგან სესხულობს. ასეთია ბრბოს ცნება, რომელიც მან გ. ტარდიდან აიღო. ტარდის აზრით, "ბრბო სხვადასხვაგვაროვან, ერთმანეთისთვის უცნობ ელემენტთა გროვაა. მხოლოდ ვნების ნაპერწკალი, რომელიც გადაეცემა ერთიდან მეორეს და მუხტავს ამ უმწყობრო მასას, აძლევს მას უეცარ, თვითნებურად ჩასახულ ორგანიზაციას. დაქსასულობა გადადის კავშირში. ხმაური იქცევა რაღაც ურჩხულისებურ ძალად, რომელიც მიზანს ესწრაფვის დაუოკებელი სისწრაფით. უმრავლესობა აქ მოსულია ცნობისმოყვარეობით აღტყინებული, მაგრამ ციებ-ცხელება,



რომელმაც რამდენიმე მოიცვა, უეცრად ეუფლება ყველას და ყველა ესწრაფვის ნგრევას. ადამიანი, რომელიც მოეშურებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი შეეშალა უდანაშაულოს მკვლელობისათვის, ერთ - ერთი პირველი ესწრაფვის ადამიანის მკვლელობას, და გასაოცარია, რომ სრულიადაც არ აკვირვებს ეს". აქ ტარდი არსებითად ბრბოს განსაზღვრებას კი არ იძლევა, არამედ აღწერას. მაგრამ სიგელესათვის ესეც საკმარისია. მისი აზრით, სიტყვა ბრბო მიუთითებს იმაზე, რომ პიროვნებათა სიმრავლე პიროვნების იგივეობრივი ხდება, სტიქიურად ორგანიზდება. ამ ორგანიზების თუ ერთიანობის წყარო ბრბოს სულია. ეს უკანასკნელი უნდა ავხსნათ ადამიანისათვის დამახასიათებელი მიბაძვის ფენომენით. სიგელე ეთანხმება ტარდის მტკიცებას, რომ მიბაძვა ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. "ყველაფერი, დანყებული ტანსაცმლის მოდით და დამთავრებული მმართველობით, პატიოსანი ქცევა და დანაშაული, თვითმკვლელობები და სიგიჟე, ყველაფერი, როგორც უმნიშვნელო, ისევე ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანთა ცხოვრების, როგორც ყველაზე მოსაწყენი, ისე მხიარული გამოვლენანიც \_ ყველაფერი მიბაძვის პროდუქტია". საკითხი დგას, რატომაა ეს მიბაძვა ასეთი უნივერსალური ხასიათის. როგორ ხდება, რომ ცხოვრების საკრებულოში ერთი სულელი ცხვარი, გენიოსის სახით, გადმოსცემს იდეას და მთელ საზოგადოებას გაიყოლებს. სიგელე აღნიშნავს, რომ მიბაძვის ასახსნელად ეპიდემიას იშველიებენ. ისე, როგორც ინფექციური დაავადება ვრცელდება და ინვეს ეპიდემიას, გარკვეული ქცევაც ვრცელდება და ინვეს მორალურ ეპიდემიას. მიბაძვის ეპიდემიურობა ყველაზე ნათლად იჩენს თავს თვითმკვლელობაში. სიგელე იხსენებს ფაქტს, როდესაც მოკლე დროში ერთსა და იმავე კაუჭზე თხუთმეტმა ინვალიდმა ჩამოიხრჩო თავი. ანალოგიური იყო ერთ - ერთი ლორდის ჩახტომა ვეზუვის კრატერში, რაც რამდენიმე ადამიანმა გაიმეორა მოკლე დროში. მაგრამ მიბაძვა ყველა სფეროს მოიცავს და გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე თვითმკვლელობა. სიგელეს არ აკმაყოფილებს ანალოგია მიბაძვასა და ეპიდემიას შორის, ის ეძებს მექანიზმს, რაც ინვეს მორალურ ეპიდემიას. აქაც ტარდს მოიშველიებს, რომელმაც მიბაძვა შთაგონებით ახსნა. მიბაძვა \_ ეს არის ერთი პიროვნების გავლენა მეორეზე. სიგელე აანალიზებს შთაგონებითი მიბაძვის სამ სფეროს: თვითმკვლელობას, სიგიჟეს და დანაშაულს. ამ შთაგონებას და მიბაძვას კი ახსნა უნდა მოენახოს, სიგელეს აზრით ადამიანის ინსტიქტებში, იმ ძალებში, რომლებშიც ადამიანები თვლემენ და გარეგანი ზემოქმედების შედეგად იღვიძებენ, გარეგანი შთაგონება და მიბაძვა არაა განმსაზღვრელი, არამედ ისაა შინაგანი, ადამიანში მოცემული, მაგრამ არაა ცნობიერში გადატანილი ინსტიქტები, რომლებშიც ბოროტი სჭარბობს კეთილს. ამიტომაა ბრბოში კეთილ საქმეთა მიბაძვა ნაკლები. ამიტომ ბრბო ბოროტებას უფრო სწადის ვიდრე სიკეთეს. "ბრბო ბოროტებისკენ უფროა მიდრეკილი, ვიდრე სიკეთისკენ... ბრბო ის სუბსტრატია, რომელშიც ბოროტების მიკრობი ძალზე სწრაფად ვითარდება. მაშინ როცა სიკეთის მიკრობი თითქმის ყოველთვის კვდება და სიცოცხლის



შესაფერის პირობებ ვერ პოულობს”. ეს აიხსნება იმით, რომ ადამიანთა უმრავლესობა ბოროტი განწყობისაა და რამდენიმეს კეთილი განწყობა ადვილად კვდება ბოროტთა გარემოცვაში. სიგელე არ უარყოფს, რომ ბრბოს, თუ ადამიანთა სიმრავლეს, შეუძლია სიკეთეც აკეთოს, თავიც გასწიროს სამშობლოსათვის, როგორც სამასმა სპარტანელმა ჩაიდინა, მაგრამ გმირობა უფრო ნაკლებად გადაეცემა ადამიანებს, ვიდრე ბოროტი ქცევა. ბრბო ყოველთვის აგზნებულია. ეს აგზნება გადადის რისხვაში და ბოლოს გაცოფებაში. ამ მომენტში ბრბო ყველაფერს წაღევავს თავის გზაზე და აქ მასზე ინტელექტით გავლენის ყოველი ცდა განწირულია, სიგელეს აზრით, ბრბოს ყველა სახეობა და არა მარტო დამნაშავე ბრბო, დანაშაულის მიდრეკილების მქონეა და მხოლოდ საბაბი სჭირდება ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომელსაც არა თუ ცალკეული წევრი, არამედ რამდენიმეც არ ჩაიდენდა ერთად. მაგრამ ბრბოს რაოდენობასთან ერთად იზრდება მათში გაბედულება და ძალას კარგავს შემაკავებელი ფაქტორები. "როგორც ზოგიერთი ცხოველი თავისი გადარჩენის მიზნით იმ გარემოს ფერს იღებს, რომელშიც ცხოვრობს, ასევე ადამიანიც, თავი რომ აარიდოს დევნას და ცემა-ტყეპას, ამ მიზნით გარემომცველთაგან იღებს ზნეობრივ ელფერს, ე.ი. ყველაფერ იმას, რაც სურთ სხვებს. და აკეთებს იმას, რისკენაც უბიძგებს საერთო მდინარება". ამით სიგელეს იმის თქმა უნდა, რომ პიროვნება ჯგუფში თუ ბრბოში საკუთარი ნებელობით არ მოქმედებს. მისი მოქმედება ისეთივეა, როგორიც სხვისი და ამიტომ პასუხისმგებლობასაც არ გრძნობს. სიგელე ანალიზებს ბრბოს სისასტიკეს განსაკუთრებით რევოლუციის პერიოდში. საერთოდ ბრბოს თეორეტიკოსები ყოველთვის რევოლუციის წინააღმდეგ გამოდიან და რევოლუციურ მოქმედებას აიგივებენ ბრბოს მოქმედებასთან. სიგელეს აზრით, ბრბოს დამნაშავეობის ჩამდენთა უმრავლესობა გიჟები, ალკოჰოლიკები, ქურდები და სხვა სახის დამნაშავეები არიან. მათში გარეული პატიოსანი ადამიანები ადვილად ექვემდებარებიან მათ აგზნებას და შედეგი სოციალურ სიგიჟეს უდრის. ბრბოში გიჟების, ალკოჰოლიკების, ქურდებისა და სხვა დამნაშავეების დანახვა მიუთითებს ბრბოს ანთროპოლოგიურ ფაქტორზე, მაგრამ, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია პროფესიაც. სისასტიკით გამოირჩევიან ბრბოში ინდივიდები, რომელთა პროფესიაში სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია – ჯარისკაცები, მეყასბეები, ანატომები და სხვ. სიგელეს მთელი მსჯელობა მიმართულია იმის ჩვენებისკენ, რომ ბრბოს ინსტინქტური მოქმედების ყველაზე დიდი სარბიელი რევოლუციაა და ბრბოსადმი სიძულვილით ის აჯერებს რევოლუციისადმი სიძულვილს, იმდენად, რომ ბრბოს ვნებათა დაოკების რამდენიმე ნიმუში, რომელიც სიგელეს აქვს განხილული, მისი აზრით, არაფერს ცვლის ბრბოს კანონზომიერებაში. კითხვაზე, როგორი უნდა იყოს ბრბოს დანაშაულისადმი დამოკიდებულება, პასუხის გასაცემად სიგელე ეძებს ანალოგიურ სიტუაციებს, რადგან ბრბოს მამოძრავებელი შთაგონებაა და შთაგონება განმსაზღვრელია ჰიპნოზის დროსაც, ბრბოს მოქმედება ჰიპნოზირებულის მოქმედების ანალოგიურად უნდა აიხსნას, თუ ჰიპნოზირებულს



ძლიერი ნებისყოფა აქვს, ის ჰიპნოზს ბოლომდე არ მიჰყვება და არ ჩაიდენს ყველა იმ ქცევას, რაზეც მას უბიძგებენ. მაშასადამე, ვინც ბრბოს ნებისყოფით მოქმედებს და სჩადის დანაშაულს, თუნდაც ის ინდივიდუალურად პატიოსანი იყოს, დამნაშავეა და პასუხი უნდა აგოს, უფრო მსუბუქად, ვიდრე პროტესიონალმა დამნაშავემ, მაგრამ მაინც, რადგან ამ დანაშაულში მისი ჩართვა სუსტი ნებისყოფის შედეგია. სიგელეს აზრით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასობრივი დანაშაულის მოტივი რამდენიმედან მომდინარეობს და შემდეგ გადაეცემა დანარჩენს, იმათაც, ვინც მაყურებლადაა მოსული. სიგელე კოლექტიური ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის ერთ-ერთ საკითხად თვლის უმრავლესობის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმების განხილვას. ის ანალიზებს უმრავლესობის დესპოტიზმთან ბრძოლის ორ ფორმას - ინდივიდუალიზმს და არისტოკრატიზმს. ინდივიდუალიზმი მოითხოვს პიროვნების უფლებათა გაფართოებას და სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი უფლებების შეზღუდვას. კაცობრიობას ერთი რომ ეწინააღმდეგებოდეს, ერთსაც კი, ამ თეორიის მიხედვით, ანგარიში უნდა გაენიოს. სიგელეს აზრით, საჭიროა ერთეულებისადმი პატივისცემა და უმრავლესობის, პარლამენტის ჩათვლით, უფლებების შეზღუდვა. საკითხი უნდა დადგეს მხოლოდ ამ შეზღუდვათა საზღვრების შესახებ. სიგელეს აზრით, განსხვავებული პოზიცია უჭირავთ არისტოკრატებს - ისინი უმრავლესობის ბატონობას დესპოტიზმთან აიგივებენ, ფიქრობენ, რომ უმრავლესობა - ეს არის უსახო ადამიანთა ერთობა, რომელსაც გონების ძალა აკლია. მათი აზრით, ლოგიკა მოითხოვს, სამყაროს მართავდეს მცირერიცხოვანი, უფრო ინტელიგენტური ტიპები. უაზრობაა ასი მუშის ან გლეხის ხმის გაიგივება ასი ინტელიგენტის ხმასთან, თავს უნდა ვხრიდეთ გენიოსების წინაშე და უარყოფდეთ ფილისტერებს, ამტკიცებენ ისინი. ამიტომ უნოდებს მათ სიგელე არისტოკრატებს. სიგელეს ულოგიკობად მიაჩნია სპენსერისა და მეგზოვისათვის ერთნაირი უფლებების მინიჭება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის ნება ყოველთვის ნიველირებულია. უმრავლესობის ნებასაც აფორმებს დიდი ადამიანი, ამიტომ კონსტიტუციური სამართალი უნდა ავაგოთ კოლექტიური სულის ანალიზის საფუძველზე. ისე, როგორც ძალის ბატონობის დროს გვარის უფროსი სუსტი ვერ იქნებოდა, ინტელიგენტის ბატონობის დროს, მმართველი ვერ იქნება სუსტი ან სულელი. ძლიერები მასებს მართავდნენ არა მარტო ძალით ან მოტყუებით, არამედ იმ მიმზიდველობით, რასაც ისინი მასებში იწვევდნენ, ისე როგორც ჰიპნოზიორს არ სჭირდება სიცრუე იმისთვის, რომ შთააგონოს მისდამი მორჩილება, ნდობა, ასევე პოლიტიკოსს არ სჭირდება სიცრუე. ის მასას მოხიბლავს და მასის აზრიც ყოველთვის ერთი ან რამდენიმე ადამიანიდან იღებს საწყისს. ეს ნიშნავს, რომ უმრავლესობის მმართველობაშიც ერთი ან რამდენიმე ადამიანის იდეის გარშემო ხდება კონცენტრაცია. ამიტომ რაოდენობა არაა განმსაზღვრელი. სიგელეს ნააზრევს ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენთვის მთავარი იყო მის მიერ საკითხის დაყენება სოციალური ფსიქოლოგიის ადგილის შესახებ, რაც შეეხება მის





კონცეფციას ბრბოს საკითხში, ის ხასიათდება სპენსერისეული ინდივიდუალიზმისა და არისტოკრატიზმის ნიშნებით, ისე როგორც მასობრივი მოძრაობისადმი სიძულვილით, რაც ლებონისა და გასეტის თეორიებში უფრო სისტემატურ ხასიათს იღებს და შესაბამისად კრიტიკული ანალიზიც იქ იქნება მოცემული.

### 3. გუსტავ ლებონი: ბრბოსა და ელიტის თეორია

თანამედროვე აზროვნების სათავეებთან მე-19 საუკუნის ბოლოს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული, ფართო პროფილის მკვლევარი და მოაზროვნე ფრანგი, გუსტავ ლებონი (1841-1931) დგას. იგი თანამედროვე ცივილიზაციის კრიზისის გამცნობიერებელთა პირველ პლედას ეკუთვნის. მან ელიტური სტრუქტურის თეორიას მისცა დასაბამი. ლებონთან სათავეს სოციალური ფსიქოლოგია იღებს.

სოციალური აზრის ისტორიკოსები ლებონის თვალსაზრისს ალაგებენ და გადმოცემენ ძირითადად მისი წიგნის "ხალხებისა და მასების ფსიქოლოგიის" მიხედვით, თუმცა ლებონმა თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მრავალი სქელტანიანი ნაშრომი შექმნა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ლებონმა ამ წიგნში თავისი თვალსაზრისი შეაჯამა. აქ ასახულია ყველა ძირითადი თეორიული პრინციპი. შესავალ ნაწილში ავტორი სახავს ამ წიგნის პროგრამას და აღნიშნავს. "ეს ის საკითხებია, რომელთაც მე აღმოსავლეთის ცივილიზაციის შესახებ ჩემს შრომებში მრავალჯერ შევხებივარ. ამ პატარა შრომას როგორც ამ პრობლემის მოკლე სინთეზს უნდა შევხედოთ". ამ შრომის შედეგების დაჯამებისას ლებონი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და აღნიშნავს: "ამ შრომის შესავალში ჩვენ უკვე მოგვიხდა იმაზე მითითება, რომ იგი მხოლოდ მოკლე რეზიუმეა, თავისებური სინთეზია იმ ტომთა, რომელიც ვუძღვენიტ ცივილიზაციის ისტორიას. მისი ყოველი თავი უნდა განვიხილოთ როგორც წინარე შრომებიდან გამომდინარე დასკვნები... აქ გადმოცემულია ძირითადი პრინციპები, რომლებიც ამ შრომის ფილოსოფიას შეადგენენ". სწორედ ამ გარემოებით ვხელმძღვანელობთ, როდესაც ლებონის თვალსაზრისს ამ შრომის მიხედვით ვალაგებთ. ლებონი მრავალ საკითხს ეხება, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს განვიხილავთ.

### ელიტური სტრუქტურის თეორიის სათავეებთან

ელიტური სტრუქტურის თეორიის ერთ-ერთი პიონერი ლებონია. ლებონის პოზიცია ძირითადად გამოხატულია ბრბოსა და ელიტის პოზიციის დაპირისპირებით. ეს დაპირისპირება მასთან მრავალგანზომილებიანია. ერთ შემთხვევაში ელიტური აგებულება ეხება რასებს. ლებონი ფიქრობს, რომ არსებობს ოთხი რანგის რასა: პირველყოფილი,



დაბალი, საშუალო და უმაღლესი. პირველყოფილს მიეკუთვნება ის რასა, რომელსაც არ ახასიათებს კულტურა და შეესაბამება ჩვენი წინაპრების ქვის ხანის ცხოველურ განვითარებას. ასეთებია, მისი აზრით, თანამედროვე ფიჭილები და ავსტრიელები, დაბალ რასებს მიაკუთვნებს ზანგებს. მათ ცივილიზაციის მხოლოდ ჩანასახოვანი განვითარება შეუძლიათ და ვერ სცილდებიან ბარბაროსობას. საშუალო რასებს, მისი აზრით, ეკუთვნიან ჩინელები, იაპონელები, მონღოლები და სემიტები. მათგან მონღოლებმა, არაბებმა, ჩინელებმა შექმნეს ცივილიზაციათა მაღალი ტიპები, მათზე მხოლოდ ევროპელი ხალხები ამაღლდნენ. უმაღლეს რასებს მიაკუთვნებს ინდოევროპელ ხალხებს. ცივილიზაციის თანამედროვე მიღწევები მათ დამსახურებად მიაჩნია. როგორც წარსულში, საბერძნეთისა და რომის ეპოქაში, ისე დღესაც ისინი აკეთებენ დიდ აღმოჩენებს ხელოვნების, მეცნიერებისა და მრეწველობის სფეროში. ლეონის აზრით, ეს რასები ისტორიულად ჩამოყალიბდა, მაგრამ მათი შერწყმა ან დაბალი რასის ამაღლება გამორიცხულია. ისინი თავისებური კასტებია, რომლებიც "ერთმანეთში არ გადადიან და ერთმანეთს არ შეერწყმიან, დაშორებული არიან გონებრივი უფსკრულით". თითოეულ რასაში სხვადასხვა ხალხებია, მათ შორის განსხვავება განსაკუთრებით საგრძნობია განვითარებულ რასებში. ლეონი ცდილობს, თითოეული რასის ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური სურათი მოგვცეს. პირველყოფილი რასის ძირითად ნიშნად ლეონი მიიჩნევს განსჯის უნარისა და კრიტიკული აზრის უქონლობას, ადვილად დარწმუნებადობას. მაშინ, როდესაც მაღალი რასის დამახასიათებელია მსჯელობის განვითარებული უნარი, კრიტიკული ცნობიერება და ზუსტი აზროვნება. დაბალი რასის ადამიანები ყურადღებიანობისა და საზრიანობის სუსტ უნარს ავლენენ, მათ თითქმის არა აქვთ განვითარებული დაკვირვების და მისგან დასკვნების გამოტანის უნარი, არც პერსპექტივის გააზრების, ისინი მხოლოდ მომენტით ცხოვრობენ, მათ არ ძალუძთ, მომენტალური მიზნები შეუდარონ მომავალს, არც მათი ქცევის შორეული შედეგების განჭვრეტა შეუძლიათ, მათი ნებელობა სუსტია. ისინი იდეალებს მოკლებულნი არიან. ძირითადად ინსტიქტებით ხელმძღვანელობენ, რომელთა მოთოკვა არ ძალუძთ, ერთადერთი, რაც მათ ჭარბად აქვთ, ეს არის მიბაძვის უნარი. დაბალი რასის ადამიანები და ხალხები ვერ ამაღლდებიან მაღლის დონემდე, რადგან განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ხასიათია და ის არ შეიძინება არც სწავლებით და არც სხვა გზით. რჩეული რასები, რჩეული ხალხები და რჩეული ჯგუფები, ასეთად რჩებიან მუდამ და ისინი არ ითქვიფებიან.

ლეონის აზრით, მაღალი რასები დაბალისაგან განსხვავდებიან ელემენტთა დიფერენციაციითაც. დაბალი რასები ერთი და იმავე ფსიქიკური და ანატომიური წყობის ადამიანებისაგან შედგებიან, მათში ვლინდება სოციალისტური იდეალი, თანასწორობა, რომელთაც აიგივებენ თავისუფლებას. რაც უფრო მაღალ საფეხურზეა რასები, მით უფრო მეტია მათში ინდივიდთა დიფერენციაცია, რაც უფრო ცივილიზებულია ხალხი, მით უფრო



განსხვავებულია მისი პიროვნებები და ამით ხალხები შორდებიან თანასწორობის იდეას. ეს დიფერენციაცია ორი სახისა: ერთი მხრივ გონებრივი პრობის ადამიანთა გამოყოფა, მათ ეკისრებათ კულტურის შექმნა და მეორე მხრივ "სხვადასხვა ფენათა დიფერენციაცია, რომელსაც ადგილი ყოველ ცივილიზებულ ხალხში აქვს". ლებონის აზრით, თანამედროვე ინდუსტრიული განვითარება ხალხთა დაბალ ფენებს სპეციალიზებულ პრობას მიაჯაჭვავს. ასეთი პრობით დასაქმებულთა გონება არ ვითარდება, პირიქით, ვიწროვდება. პრობის სპეციალიზაციამ ადამიანი გახადა ერთი მანიპულაციის მონა, მაშინ, როდესაც ადამიანი პრობექტს მთლიანად აწარმოებდა, ის შემოქმედი იყო. პრობის დანაწილების შედეგად მწარმოებელი ადამიანის გონება ატროფიამდე მიდის, კონკურენციით შევიწროებული წარმოების ხელმძღვანელი და ინჟინერი იძულებულია, მთელი ძალით განავითაროს შემოქმედებითი უნარი და ამით სულ უფრო შორდება წარმოებაში დასაქმებულთ. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ცივილიზებული ხალხი სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით მრავალფეროვანია და ემსგავსება "საფეხურებიან პირამიდას, რომლის საფუძველი შევსებულია მოსახლეობის ბნელი მასებით, საშუალო საფეხურები განათლებული ფენებით და უმაღლესი საფეხურები, ე.ი. პირამიდის მწვერვალი, სწავლულთა, მსახიობთა, მწერალთა, მცირედი რჩეულებით, რომელიც მოსახლეობის სხვა ნაწილებთან შედარებით, უმნიშვნელო ჯგუფია, მაგრამ ის ერთადერთია, ვინც განსაზღვრავს ქვეყნის დონეს ცივილიზაციის სკალაზე. საკმარისია გაქრეს იგი და გაქრება ყოველივე, რაც ერის დიდებაა". ლებონი იმონებს ტოკვილისა და სენ - სიმონის მოსაზრებებს, სოციალური დიფერენციაციის და მასში ინტელექტუალური ელიტის განმსაზღვრელი, შეუცვლადი მნიშვნელობის შესახებ. ლებონის აზრით, ეს დიფერენციაცია ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იმდენად უსასრულო ტენდენციის მქონეა, რომ შეეძლო მიეღწია დაბალ და მაღალ რასებს შორის არსებული განსხვავებისათვის, მაგრამ ის ამას ვერ აღწევს, რადგან ხალხის თუ ერის შიგნით დიფერენციაცია იზრდება მხოლოდ ინტელექტის განზომილებით, მაშინ, როდესაც ხასიათი იგივე რჩება და ხასიათია სწორედ ის, რაც განსაზღვრავს ხალხის ერთიანობას. ამ დიფერენციაციის ზრდას ზღვარს უდებს აგრეთვე მასების აღზევება. ისინი ცდილობენ, ხალხის ცხოვრების სათავეში მოექცნენ და დაიკავონ რჩეულთა ადგილი. მესამე ფაქტორი, რაც ზღვარს უდებს ამ დიფერენციაციას, არის მემკვიდრეობა. მას შემდეგ, რაც გენიოსი წარმოიშობა, ეს თვისება მის გვარში აღარ გრძელდება, პირიქით, უფრო ნიველირებული ადამიანები მოსდევს მას, იმდენად, რომ თუ ელიტას ცალკე გამოვყოფდით და მის გამრავლებას უზრუნველყოფდით, მივიღებდით არა ელიტურ, არამედ გადაგვარებულ საზოგადოებას. ეს ნიშნავს, რომ ელიტური სტრუქტურის შევსება უნდა ხდებოდეს ყველა ფენიდან. ერის ჩონჩხი საშუალო ტიპია, რომლის გარშემო ტრიალებს ელიტა. ლებონთან ელიტას ცივილიზაციის თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რასის



თვალსაზრისით უმნიშვნელოა. ლებონი გამოირიცხავდა იმ გზას, რომელსაც შემდგომ დაადგინენ ელიტის ფაშისტური თეორიის ავტორები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ელიტური ფენებიდან, ბიოლოგიური შერჩევის გზით, შეიძლება ზეკაცის შექმნა. ლებონის აზრით, რასები და ინდივიდები, ფსიქოლოგიური წყობის გარდა, ანატომიურადაც განსხვავდებიან. მაღალ რასებს დიდი რაოდენობით ჰყავთ დიდი თავის ქალის მქონე და განვითარებული ტვინის ადამიანები, მაშინ როდესაც დაბალ რასებს თავის ქალაც და ტვინიც თითქმის ერთნაირი აქვთ. რასათა და ხალხთა განსხვავება, ლებონის აზრით, უნდა ვეძებოთ არა მასებში, ისინი დაბალშიც და მაღალშიც ერთნაირია, არამედ ერთეულებში, ელიტაში, რომლებიც ქმნიან ამ ხალხთა და რასათა ინტელექტს. რაც უფრო ცივილიზებულია რასა თუ ხალხი, მით უფრო მეტია მის წევრთა ფსიქოლოგიური და ანატომიური დიფერენციაცია. მაშასადამე, ლებონის აზრით, ცივილიზაციას მივყავართ არა თანასწორობამდე, არამედ უთანასწორობამდე. ასეთსავე განსხვავებას ხედავს ლებონი ქალისა და მამაკაცის შედარებისას. დაბალ რასებში მათი განვითარება ერთნაირი დონისაა, მაღალ რასებში კი ისინი არსებითად განსხვავდებიან ინტელექტით, ფსიქოლოგიური და ანატომიური წყობით. მოკლედ ის, რასაც აქ ლებონი ქადაგებს, შეიძლება გამოვხატოთ ბერდიაევის შრომის სათაურით - "უთანასწორობის ფილოსოფია". ლებონის აზრით, პირველყოფილი მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ცივილიზაციის ყოველი საფეხური ამკვიდრებს უთანასწორობას.

## ელიტური სტრუქტურა და დიდი ადამიანების როლის საკითხი

ლებონის აზრით, რჩეული თუ განსაკუთრებული მასისაგან გამოყოფილ ადამიანთა საქმიანობა ქმნის ცივილიზაციას და რასის თუ ხალხის ძალას. ამიტომ სოციალურ ერთობათა განვითარების მაჩვენებელია უმაღლეს ადამიანთა ჯგუფი. არაცივილიზებული და დაბალი განვითარების დონეზე მდგომი ხალხები მოკლებულნი არიან ასეთ რჩეულთ. "დიდ ადამიანთა ეს მცირე ნაკრები, რომელნიც ყოველ ცივილიზებულ ხალხს ჰყავს, ცივილიზაციის ძალის ჭეშმარიტი განხორციელებაა. საკმარისია ისინი მოისპოს, რომ შესაბამისი ხალხი ცივილიზებულ ერთა სიიდან გამოირიცხება... ცივილიზაციის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მხოლოდ რჩეულთა უმნიშვნელო ჯგუფი ქმნის ცივილიზაციის ყველა მონაპოვარს". ეს რჩეულნი არც შემთხვევით და არც ზეძალებით არაა მოვლენილი, ისინი ხალხის წიაღში წარმოიშობიან და მის ძალებს განასახიერებენ. "რასის ყველა თაობა და მთელი ყვავის ამ მშვენიერ გენიოსებში, ისინი ძველი ადამიანური ხის საოცარი ყვავილებია, რომლებიც შემთხვევით და სასწაულით კი არ წარმოიშობიან, არამედ ხანგრძლივი წარსულის გვირგვინია და თავისში აერთიანებენ ღროისა და კლასის სიდიადეს". მთელი ცივილიზაციის შენობას იგი რჩეულებს მიაწერს, მაგრამ, ამავე ღროს, აკრიტიკებს დიდი ადამიანების კარლისეულ



გაღმერთებას. ლეონის აზრით, გმირებს შეუძლიათ ცივილიზაციის დანგრევა, მაგრამ არა აგება. ცივილიზაციის აგებას სჭირდება არა გმირები, არამედ რჩეულთა ჯგუფი. დიდი ადამიანები მხოლოდ იმდენად არიან დიდი, რამდენადაც ესმით ეპოქის მოთხოვნილებანი და პოულობენ მათი განხორციელების გზას. ერთნი - გენიალური გამომგონებელნი აჩქარებენ ცივილიზაციის მსვლელობას, მეორენი - ფანატიკოსები, რომელთაც ჰალუცინაციები ამოძრავებთ, ქმნიან ისტორიას. მასები ამ უკანასკნელთ მიჰყვებიან, რადგან გამომგონებლისა არ ესმით. მთელი ისტორია სხვა არაფერია, თუ არა იდეალების შექმნა, მათდამი მონობა, შემდეგ მათი მოსპობა, მათ ნაცვლად ახალი იდეალების შექმნა და ა.შ. ეს იდეალები მოჩვენებითია, მაგრამ მათ დიდი ძალა აქვთ. ისტორიის მკვთებელი ფანატიკოსები დიდი გავლენით იმიტომ სარგებლობენ, რომ თავისი რასის და ეპოქის იდეალებს გამოხატავენ: "ხალხის ბელადი ვერ გახდება, თუ მის ოცნებებს არ განასახიერებ". იდეალები სხვა არაფერია, თუ არა იდეები და მათი მატარებელი ადამიანები ხელმძღვანელობენ სამყაროს: "დედამინა ეკუთვნით სულიერად მწირთ და სულიერად ლატაკთ იმ პირობით, რომ მათ აქვთ ბრმა რწმენა, რომელიც მთებს ამოძრავებს". იდეალები ადამიანთა ილუზიებია და სწორედ ისინია ცივილიზაციის ყველაზე დიდი ფაქტორი. "არა ჭეშმარიტების, არამედ სიცრუის ძიებაში დახარჯა კაცობრიობამ საქმიანობის დიდი ნაწილი". კაცობრიობა ესწრაფვოდა ქიმერულ, მიუღწეველ მიზნებს და შექმნა ცივილიზაცია.

ლეონის თეორიას, აგებულს რჩეულთა შემოქმედებითი ძალის აღიარებაზე, რომელიც მასას მიიჩნევს შემოქმედების უნარმოკლებულ ბრბოდ, არ შეუძლია ახსნას, რატომ უნდა ემყარებოდნენ ხალხის ტრადიციების მემკვიდრეობას, თუ ხალხი ინერტული მასალაა.

ლეონის მტკიცებით, რამდენიმე არსების თავშეყრისას იქვე ჩნდება წინამძღოლი, რომელსაც ყველა ექვემდებარება. ბელადები თუ ლიდერები, მისი აზრით, უფრო მოქმედნი არიან, ვიდრე მოაზროვნენი. ბელადები იდეას აწვდიან მასებს და მათზე დიდ ზემოქმედებას ახდენენ, როდესაც ამ იდეალს თვითონაც ექვემდებარებიან. ლეონი ბრბოში ხედავს თავისუფლებისადმი მხოლოდ მოჩვენებით ლტოლვას. სინამდვილეში ის ესწრაფვის დაქვემდებარებას იმდენად, რომ ყველას, ვინც მის ბატონად აცხადებს თავს, ადვილად ექვემდებარება. ეს მტკიცება არ შეესაბამება სოციალურ პროცესებს, რადგან ყოველი მთავრობა კანონებით განამტკიცებს თავის წინამძღოლობას, მაგრამ სწორედ მთავრობისა და წინამძღოლობის წინააღმდეგ ხდება რევოლუციები. მაშასადამე, მასის ფსიქოლოგია თავისუფლებას ესწრაფვის და არა დაქვემდებარებასა და მონობას. მასა კი კრიტიკულია ბელადების მიმართაც და არასოდეს არაა მონური ცნობიერების ტყვე. გარიბალდის მაგალითი, რომელიც მისი თეორიის დასამტკიცებლად მოაქვს ლეონს, მის წინააღმდეგ მეთყველებს. გარიბალდის არც რეგულარული არმია ჰყავდა და არც მატერიალურად თუ



ფინანსურად იყო ძლიერი, განსხვავებით მთავრობისაგან, რომელსაც ის აღუდგა. მაგრამ მას ჰქონდა თავისუფლების იდეალი და სწორედ ამ იდეალს გაჰყვა ხალხი.

## ბრბოს ცნება

ეპოქის ძირითადი ნიშნის, ბრბოს, ბატონობის დახასიათებას ლებონი ავსებს ბრბოს ცნების ანალიზით. იგი მას განასხვავებს მისი ყოველდღიური გაგებისაგან. ყოველდღიურობაში ბრბოში ესმით თავშეყრა და ერთობლივი ქმედება. ბრბოს ფსიქოლოგიური ცნება კი ისეთ ერთობასაც გულისხმობს, როდესაც ადამიანები ერთად არ არიან თავშეყრილი, და მაინც, ერთნაირად მოქმედებენ და ერთნაირად გრძნობენ, მათ აკავშირებთ ინდივიდუალურისაგან განსხვავებული, კოლექტიური სული. ბრბოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ინდივიდის ცვლილება, როგორც ფსიქიკის, ისე მოქმედების თვალსაზრისით. ამიტომ ცალკეული ინდივიდი სულიერი ცხოვრებით განსხვავებულია, ბრბოს წევრი იმავე ინდივიდის სულიერი ცხოვრებისაგან. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, სოციალურში ხდება ინდივიდის გაუცხოება, ის კარგავს თავისი მეობას და გადაიქცევა იმედდაკარგულ ნიველირებულ სუბიექტად. ბრბოში ინდივიდის ცხოვრებაში ჭარბობს არაცნობიერი მომენტები, ცნობიერება კი უკანა პლანზე დგება. ინდივიდუალურ მრავალფეროვნებას ცვლის ერთფეროვნება, მაგრამ ლებონის მიერ ბრბოს ასეთი დახასიათება ეწინააღმდეგება მის მიერვე აღიარებულ ფაქტს, რომ როდესაც მასების მოქმედების შედეგად გარემო იცვლება, ახალი უნარები და ახალი ინდივიდები გამოვლინდებიან. ლებონი იმონებს საფრანგეთის რევოლუციის მაგალითს, რომლის წამყვან ძალებად იქცნენ ადამიანები, რომელნიც ჩვეულებრივ გარემოში არაფრით გამოირჩეოდნენ. ანალოგიურია პლექსანოვის მიერ ფიქსირებული, ისტორიულ ეპოქაში და კონკრეტულად ნაპოლეონის შემთხვევაში, წარმოჩენილი დიდი ადამიანების როლი, რომლებიც შემდგომ, როდესაც ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, კვლავ არაფრით გამოირჩეოდნენ სხვებისაგან. საერთოდ, ეპოქის მოთხოვნებზე დიდი ადამიანების წარმოჩენის დამოკიდებულება რეალური ფაქტია, მაგრამ იგი სწორედ ლებონის სანინააღმდეგოს ამტკიცებს. ლებონი უარყოფდა გარემოს როლს, მიაჩნდა, რომ ინდივიდის ფსიქიკაა ყოველივეს განმსაზღვრელი, მაგრამ სწორედ იგივე ინდივიდები, რომლებიც ჩვეულებრივ სიტუაციაში არაფრით გამოირჩეოდნენ, რევოლუციურ სიტუაციაში და საერთოდ შეცვლილ ვითარებებში, განსაკუთრებულ უნარს ავლენდნენ. ამიტომ სინამდვილეს შეესაბამება დებულება, რომ დიდი პიროვნებანი ყოველთვის მაშინ გამოჩნდებიან, როდესაც მათზე მოთხოვნილებაა საზოგადოებაში და მათი ასპარეზიც ხომ საზოგადოებრივი ცხოვრებაა, გარემოს სახით, ამიტომ მცდარია ლებონის მტკიცება, რომ "კოლექტიურ სულში ინდივიდთა ინდივიდუალური უნარები და, მაშასადამე, მათი ინდივიდუალობა ქრება. მრავალფეროვანი იძირება ერთფეროვანში და იმარჯვებენ არაცნობიერი თვისებები". ლებონის აზრით, ბრბოში



ნიველირების ძალა იმდენად დიდია, რომ თუნდაც ჭკვიანი ადამიანებისაგან შედგეს, მაინც მათი გადანწყვეტილება არ იქნება ჭკვიანური, რადგან კოლექტივის, მასის ინტერესი თრგუნავს ინდივიდის ინტელექტს. რამდენად იცვლება ინდივიდი ბრბოში, ამის მაჩვენებლად ლებონს მიაჩნია ისიც, რომ ცალკეული ინდივიდი ბრბოს გარეშე პასუხისმგებლობის გრძნობას ექვემდებარება და გარკვეული შიში აკავებს. ბრბოში კი იგივე ინდივიდი კარგავს ამ შემაკავებელ ძალებს. მას უჩნდება დაუძლეველობის ცნობიერება, რითაც ისეთ ინსტიქტებს ექვემდებარება, რომელთაც იზოლირებულად არასდროს მიეცემოდა. ეს იმის შედეგია, რომ ბრბო ანონიმურია და პასუხს არ აგებს. ბრბოში პასუხისმგებლობის გრძნობა მთლიანად იკარგება. ლებონის აზრით, ბრბოში ინდივიდის ახალი ვითარება იმითაცაა გამოწვეული, რომ მას გადაედება სხვა ადამიანების მოქმედება, ის თითქოსდა ჰიპნოზირებულია, საკუთარ ინტერესებზე ხელს იღებს და საზოგადოებრივს ექვემდებარება, მისი ცნობიერება გადაბრუნებულია და ამიტომ მოქმედებს ისე, როგორც ყველა. ამასთანაა დაკავშირებული ბრბოს პიროვნების შემდეგი ნიშანიც; ის ადვილად ექვემდებარება შთაგონებას, იზოლირებულ ვითარებაში ეს არ ხდება. სხვისი მოქმედება რომ გადაედება, სწორედ ამ ადვილად შთაგონებადობის შედეგია. ისე, როგორც ჰიპნოზირების შემთხვევაში ცნობიერი ცხოვრება, ნებელობა და განსჯა სრულიად ქრება და ჰიპნოზიორი წარმართავს ადამიანის გრძნობებსა და აზრებს, ასევეა სუბიექტი ბრბოს შემთხვევაში. ბრბო წარმართავს მის მოქმედებას. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდი ბრბოში ცივილიზაციის რამდენიმე საფეხურით დაბლა ეშვება, თუ იზოლირებულ მდგომარეობაში ცივილიზებული იყო, ბრბოში ის ბარბაროსია, მას აღმოჩნდება თვითნებობის, სისასტიკის, ამბოხის და გმირობის თვისებები, რაც პირველყოფილ ადამიანს ახასიათებდა. ლებონის მოსაზრებანი, მისივე სიტყვებით რომ დავაჯამოთ, შემდეგნაირად გამოიყურება: "ცნობიერი პიროვნების გაქრობა, არაცნობიერი პიროვნების უპირატესობა, გრძნობათა და ისეთი ერთნაირი მიმართულება, რასაც განსაზღვრავს შთაგონება, სწრაფვა, შთაგონებული იდეები მყისვე გადააქციონ მოქმედებად, აი, ძირითადი ნიშნები, რაც ახასიათებს ინდივიდს ბრბოში, მას უკვე აღარ აქვს თავისი მეობა და იქცევა ნებელობის არმქონე ავტომატად". ყველა ის უარყოფითი ნიშანი, რაც ლებონმა ბრბოში პიროვნებას მიაჩნია, ბრბოსაც ახასიათებს და დამატებით სხვა ნიშნებიც. ბრბოს მახასიათებლებში განმსაზღვრელია იმპულსურობა, გაღიზიანებადობა, დათუქრების უნარის უქონლობა, განსჯისა და კრიტიკის უნარის უქონლობა, გადიდებული მგრძნობელობა. ლებონის აზრით, ამ მხრივ ბრბო მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს შეიძლება შეეძაროს, ბრბო ისევე მოუმწიფებელია, როგორც ბავშვის გონება და ისევე სუსტი ხასიათის, როგორც ქალი. ბრბო პირველყოფილ ადამიანს ჰგავს. ის გარეგანითაა განსაზღვრული და იმპულსებით წარიმართება, მას არა აქვს რეფლექსების დაოკების უნარი. ბრბო მოკლებულია წინასწარ გააზრების საშუალებას და ის ყოველთვის მომენტალურად მოქმედებს. მისი სურვილები



დაუოკებელია. მისთვის აკრძალული არ არსებობს. დაბრკოლება კი არ აჩერებს, არამედ არისხებს და განრისხებული ყველაფერს სპობს თავისი სურვილის განხორციელების გზაზე. ბრბო ქალივით გაღიზიანებადია, არ არსებობს კერპი, რომელსაც არ დაგმობს, როდესაც გაღიზიანებულია. ბრბო სუსტი ნებელობისაა, ადვილად შთაგონებადი და ადვილად დარწმუნებადია. არაცნობიერის ზღვარზე მყოფი ბრბო განსჯას არ ექვემდებარება და არც კრიტიკას ცნობს. ბრბოს სჭირდება ლევენდები. ბრბოს არა აქვს დაკვირვების უნარი, სულ ერთია, ვისგან შედგება ის -მეცნიერთაგან თუ უვიცთაგან. ბრბოს თვისებათაგან ერთ-ერთია გრძნობების გაზვიადება და ცალმხრივობა. ბრბომ არ იცის არც დაეჭვება და არც მერყეობა. ის უკიდურესობებში ვარდება: ან უსაზღვრო სიყვარული, ან უსაზღვრო სიძულვილი. ამას ხელს უწყობს ბრბოს უპასუხისმგებლობა თავისი ქმედობისათვის, რაც უფრო დიდია ბრბო, მით უფრო უპასუხისმგებლოა იგი. ლეონის აზრით, ბრბოს სხვა ნიშანთაგან აღსანიშნავია: შეუწყნარებლობა, ავტორიტეტისადმი დაქვემდებარება და კონსერვატიულობა.

ბრბოსთვის არსებობს ან მხოლოდ ჭეშმარიტება, ან მხოლოდ სიცრუე. სინამდვილესთან მიმართებაში არცერთ მათგანს არ ამოწმებს. მათდამი რწმენას იმუშავებს შთაგონების გზით, ამის წყარო კი ავტორიტეტია. ავტორიტეტისადმი რწმენის სანინაალმდეგოს ბრბო სპობს. ამიტომ ვერ იტანს ბრბო დისიდენტებს. ლეონის აზრით, ბრბოს პატივისცემას მხოლოდ ძალა იმსახურებს. ამიტომ მისი კერპი ტირანია. კეთილი მმართველები კი მისგან პატივისცემის გარეშე რჩებიან. ლეონის მტკიცებით, ბრბო კონსერვატიულია და თუ ირწმუნებ მის რევოლუციურ სულისკვეთებას, ე.ი. არ იცნობ მის ფსიქოლოგიას. ბრბო ექვემდებარება მემკვიდრეობის პრინციპს და ესწრაფვის მონობას. ამაში ხელდას მისი ცხოვრების მოწესრიგებას. ლეონის აზრით, ბრბო ტრადიციათა მონა და სიახლეთა მტერია. მიუხედავად იმისა, რომ ბრბო ტრადიციების მონაა, ლეონის აზრით, ის ზნეობრივი მაინც არ არის. იმპულსურობა და ცვალებადობა გამორიცხავს ბრბოს ზნეობრიობას. ბრბოს ნგრევის ინსტიქტი თანდაყოლილი აქვს. ცალკეული პიროვნება ამ ინსტიქტს თრგუნავს პასუხისმგებლობის შიშით, მაგრამ ბრბოს შემთხვევაში პასუხისმგებლობა მოხსნილია, ამიტომ მრისხანებისა და ნგრევის ინსტიქტი თავის შესაძლებლობას მთლიანად ავლენს. ბრბოს სისასტიკე მონადირის სისასტიკის ანალოგიურია, რაც უფრო მეტ ნადირს მონადირებს მისი მწვერები, მით უფრო მეტად ხარობს მონადირე. ყველა უბედურების სათავე, ლეონის აზრით, ბრბოს არაცნობიერი მოქმედებიდან მომდინარეობს. მას რომ თავისი მოქმედების საფუძვლად მსჯელობა დაედო და გაეცნობიერებინა საკუთარი ინტერესები, შეიძლებოდა ცივილიზაცია საერთოდ არ არსებულიყო. ლეონის აზრით, ბრბო გამორიცხავს ლოგიკას. ბრბოზე მოქმედებს არა ლოგიკური არგუმენტაცია, არამედ გრძნობათა აღმძვრელი იდეები, თუნდაც ისინი ალოგიკური იყვნენ. კრიტიკული განსჯის უნარის უქონლობის გამო, ბრბო ვერ არჩევს ჭეშმარიტს მცდარისაგან. სამაგიეროდ ბრბოს დიდი წარმოსახვის უნარი გააჩნია, ამიტომ მას





სასწაულები იტაცებს. ლეონის მტკიცებით ისტორიის ფილოსოფიას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიგებთ, თუ გავითვალისწინებთ ბრბოს ფსიქოლოგიის ძირითად ნიშნებს. ბრბოს მიმართება რელიგიასთან ყველაზე ნათლად გამოხატავს მის ფსიქოლოგიას. არა მარტო რელიგია, არამედ პოლიტიკური და სოციალური იდეებიც რელიგიურ ფორმაში უნდა მოექცეს, რათა მან გავლენა იქონიოს ბრბოზე. ე.ი. ყოველ მათგანს უდავო ფორმა უნდა ჰქონდეს არა იმის გამო, რომ ჭეშმარიტია, არამედ დოგმატურობის გამო. ბრბოზე დიდი გავლენა აქვს სიტყვას: "ძალზე ხშირად განუსაზღვრელი საზრისის მქონე სიტყვები ბრბოზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ. ასეთია, მაგალითად, ტერმინები: დემოკრატია, სოციალიზმი, თავისუფლება, თანასწორობა და ა.შ." ბრბოს ფსიქოლოგიაზე დაკვირვებიდან ლეონი აკეთებს პოლიტიკურ მოღვაწეთათვის პრაქტიკულ დასკვნებს. როდესაც ბრბო გარკვეული პოლიტიკური ფორმების უარყოფას ცდილობს, სახელმწიფო მმართველმა ანგარიში უნდა გაუწიოს ბრბოზე სიტყვის ძალის გავლენას და სინამდვილე კი არ უნდა გარდაქმნას, როგორი ცუდიც არ უნდა იყოს ის, არამედ ამ ცუდ სინამდვილეს გამოუნახოს ბრბოს დამატყვევებელი სახელი. ამიტომ, ლეონის აზრით, სულ ადვილი შესაძლებელია, დემოკრატიის სახელით დესპოტია ბატონობდეს. ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ხალხებში ზოგჯერ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მაგ.: დემოკრატია ლათინებში ნიშნავს, რომ თემის ინიციატივა და ნებელობა ახშობს პიროვნების ინიციატივასა და ნებელობას. ანგლოსაქსებთან და ამერიკელებთან კი პირიქით, დემოკრატია ნიშნავს პიროვნების ნებელობის რაც შეიძლება ფართოდ განვითარებას, მაშინ, როდესაც თემიც და სახელმწიფოც უკანა პლანზე იწევს. ლეონის აზრით, ბრბოს ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა ილუზიების აუცილებლობა იდეალების სახით. ფილოსოფია იმიტომ არ სარგებლობს პოპულარობით ბრბოში, რომ ასეთ ილუზიებს ვერ აწვდის. ლეონის აზრით, ბრბო იმუშავებს გარკვეულ შეხედულებას, რასაც საზოგადოებრივი აზრი ეწოდება. წარსულში ეს აზრი იმდენად სისტი იყო, რომ მთავრობები და ხელოვნების მუშაკები ადვილად მართავდნენ მას, მაგრამ ამჟამად ვითარება შეიცვალა, ხელოვნების მუშაკებმა დაკარგეს ბრბოზე გავლენა, პრესა ცდილობს, იყოს ბრბოს აზრის გამომხატველი. მთავრობები კი, იმის ნაცვლად, რომ ბრბოს მართავდნენ, ცდილობენ დაჰყენონ მის ნებას, ეს გამომწვეულია შიშით საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ამჟამად "ბრბოს აზრი ცდილობს, სულ უფრო მეტად გახდეს პოლიტიკის უმაღლესი რეგულატორი".

### **ბრბოს კლასიფიკაცია**

ლეონი ბრბოდ მიიჩნევს ადამიანთა ყოველგვარ თავშეყრას, მაგრამ ამ თავშეყრათა სხვადასხვა კავშირების მიხედვით განასხვავებს ბრბოს სახეებს. ყველაზე მარტივი მათგან ისეთი თავშეყრაა, როდესაც ადამიანებს ერთმანეთთან არ აკავშირებთ არც რასა და არც სხვა ნიშნები, გარდა იმისა, რომ ჰყავთ საერთო ბელადი - ასეთია ბარბაროსები. უფრო მაღალ



საფეხურზეა ბრბო, რომელიც რასობრივ ერთიანობას ემყარება. ორივე კატეგორიაში, ორგანიზებულობის მიხედვით, ლებონი განასხვავებს ქვეჯგუფებს, პირველში, ე.ი. მრავალგვაროვან ბრბოში, ორი ჯგუფია: ანონიმური და არაანონიმური ბრბო. პირველს მიეკუთვნება ქუჩაში შემთხვევით თავშეყრილი ხალხი, მეორეს - მსაჯულები, პარლამენტის წევრები და ა.შ. ერთგვაროვან ბრბოში განასხვავებს სამ ჯგუფს: 1. სექტები (პოლიტიკური, რელიგიური და ა. შ.), 2. კასტები (სამხედრო, სულიერი, შრომითი და ა.შ.), 3. კლასები (ბურჟუაზია, გლეხები და ა.შ.) განსხვავებით მრავალგვაროვანი ბრბოსაგან, რომელსაც არა აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, ერთგვაროვან ბრბოში ლებონი აღიარებს, რომ მათ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, თუმცა იგი ბრბოს საერთო დახასიათებაში უარყოფდა პასუხისმგებლობის გრძნობას და ამტკიცებდა, რომ პასუხისმგებლობის მიმართ შიში აიძულებს ბრბოს, გაექცეს თავისუფლებასაც. ლებონი წინააღმდეგობას მართო აქ როდი აწყდება. თუ ბრბოს პასუხისმგებლობის შიში აქვს და ამიტომ კარგავს თავისუფლებას, ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მას პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია. პასუხისმგებლობა მოვალეობასთანაა დაკავშირებული. ლებონი არ უარყოფს, რომ ბრბოს გააჩნია მოვალეობის გარკვეული, მაშინაც კი, როდესაც ის დანაშაულს სჩადის, ამას აკეთებს იმ რწმენით, რომ შეასრულა თავისი მოვალეობა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პასუხისმგებლობაც უნდა ახასიათებდეს. ლებონის მიერ მასების გაიგივება ბრბოსთან და ბრბოს უარყოფითი ნიშნებით დახასიათება გამომდინარეობს არა სინამდვილის შემეცნებიდაბ, არამედ იმ ღირებულებითი პოზიციიდან, რომელშიც განმსაზღვრელია ლებონის სიძულვილი მასებისადმი. ამ მიმართებით იგი არ გასცილებია ანტიკური არისტოკრატიზმის წარმომადგენლებს, რომლებიც მასებს უგუნურად მიიჩნებდნენ და მათდამი ისეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვდნენ, როგორც ცხოველებისადმი.

#### 4. ლებონის ფსიქოლოგიზმი

ლებონის აზრით, რასებს შორის განსხვავებას საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური ნიშნები. ლებონი ეკუთვნის იმ მოაზროვნეთა რიცხვს, რომელთათვისაც საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელია ფსიქიკა, სულიერი პროცესები, ისინი განსაზღვრავენ და ქმნიან საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას. ლებონის მსოფლმხედველობის გასაღებია თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი პრინციპი, რომ იდეები მართავენ სოციალურ სამყაროს. ლებონის აზრით, იდეები იმდენად მყარად ეუფლება ბრბოს, რომ მას შემდეგაც, რაც განათლებული ფენები შეიცნობენ ამ იდეათა სიყალბეს, ეს იდეები კიდევ დიდხანს მართავენ ბრბოს ცნობიერებას. ერთნაირად ძნელია როგორც ახალი იდეის დანერგვა, ისე ძველი იდეის მოსპობა. თანამედროვე სამყაროს ტრაგედიულობას ლებონი მიანერს თანასწორობის იდეას, რომელმაც "შეარყია ძველი საზოგადოების საფუძვლები,



მოახდინა ყველაზე საშინელი რევოლუციათაგანი და დასავლეთის სამყარო ჩააგდო კონველსიათა რიგში, რომელსაც ბოლო არ უჩანს". ლებონი აკრიტიკებს მატერიალისტებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების წამმართველად გარემოს, ობიექტურ ვითარებას მიიჩნევენ. ლებონის აზრით, გარემო უმნიშვნელოა, მთავარია იდეა, იდეა კი ფსიქიკის გამოხატულებაა. ფსიქიკა ფსიქოლოგიის ობიექტია. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრება დამოკიდებულია ფსიქოლოგიაზე.

ლებონი ქმნის თეორიას, რომელმაც უნდა ახსნას არა მხოლოდ XIX საუკუნის მასობრივ მოვლენათა ხასიათი (ეს მისი თეორიის ერთ - ერთი მომენტია, რის გამოც სოციალური ფსიქოლოგიის შემქმნელად გამოდის), არამედ თეორიას, რომლის მიზანია მთელი ცივილიზაციის გაგება, საზოგადოების ყველა ეპოქის მამოძრავებელი ძალების გარკვევა, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განსაზღვრა და იმ ძალთა, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. ლებონის მტკიცებით, ცივილიზაციის ელემენტებია: ხელოვნება, დაწესებულებანი და რწმენანი; როგორც ეს ცალკეული ელემენტები, ისე მთელი ცივილიზაცია განისაზღვრა რასობრივი სულით. ყოველი ხალხი ხასიათდება მყარი სულიერი ცხოვრებით და ხალხის სული "ის წყაროა, რომელიც წარმოშობს ხალხის გრძნობებს, აზრებს, დაწესებულებებს, ხელოვნებას და რწმენას". არც გარემო და არც დაწესებულებანი ცივილიზაციას არ განსაზღვრავენ. თვითონ განსაზღვრულნი არიან ხალხის სულით. სხვა ფაქტორი, რომელიც ცივილიზაციაზე მოქმედებს, შემთხვევითი და მეორადია. "ხალხის ცხოვრება, მისი დაწესებულებანი, რწმენა და ხელოვნება, ხალხის უხილავი სულის ხილული პროდუქტებია მხოლოდ". ლებონის აზრით, ვისაც ისტორიის და ხალხების გაგება სურს, ვინც ხალხთა კლასიფიკაციის საფუძველს ეძებს, მან უნდა მიმართოს ფსიქოლოგიას, რადგან ფსიქოლოგია ფსიქიკურის შესახებ მეცნიერებაა, ხოლო ფსიქიკური განსხვავებულობანი ამოიკითხება ხალხთა ისტორიის ყველა გვერდზე. ხალხთა კლასიფიკაციის საფუძველს არ ქმნის არც ენა, არც გარემო, არც პოლიტიკური დაჯგუფებანი, მხოლოდ ფსიქოლოგია იძლევა მას. სოციალურ-პოლიტიკურ გადატრიალებათა და დაწესებულებათა მიღმა დგას ხალხის სული, რომლიდანაც გამომდინარეობს ყოველივე. ფსიქოლოგიურ თავისებურებათა მთლიანობა ქმნის ეროვნულ ხასიათს, ყოველი ხალხის წარმომადგენლებს აქვთ საერთო ნიშნები, რაც საფუძველს გვაძლევს, დავადგინოთ ამ ხალხთა იდეალური ტიპები იმ ძალებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუუმზე, წინაპრები, მშობლები, გარემო, ყველაზე სუსტია გარემო და ყველაზე ქმედითი რასა. ლებონის აზრით, რასა ხალხებისა და ინდივიდუუმების ცხოვრებაში მუდმივი, დროს დაუქვემდებარებელი ძალაა, ის ხალხის სულის განმსაზღვრელია. ხალხის სული შედგება სამი ელემენტისაგან: საერთო გრძნობები, ინტერესები და რწმენანი. ლებონის აზრით, ერის არაკონფლიქტურობის მაჩვენებელია მისი სულის ერთიანობა, ყოველი ერის მიზანი უნდა



იყოს, შეინარჩუნოს ეს ერთიანობა, რათა არ მოხდეს სოციალური კატაკლიზმები. ლებონისოციალური წონასწორობის თეორიას იცავს და სოციალურ რევოლუცია სუპირისპირდება.

ლებონის მტკიცებით, რასის ფსიქიკური ნიშნები მყარია და მას ვერ შეცვლის სოციალური მოძრაობის ვერც ერთი ფორმა. ლებონი ერთ ხაზზე აყენებს იაკობინელთა დიქტატურას და მონარქიას, ფიქრობს, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, რადგან ორივე ფრანგულ სულში ღრმად ჩამჯდარი დესპოტური სულის გამოხატულებაა. რასათა, ცივილიზაციათა, ხალხთა და პიროვნებათა განსხვავება ლებონისთვის ძირითადად ფსიქიკურ ელემენტებშია. ეს ელემენტები ორ კლასად იყოფა: ხასიათად და ჭკუად. მათ შორის განმსაზღვრელი ხასიათია. ხასიათი გრძნობათა ერთობლიობაა. ხასიათის ძირითადი ელემენტებია: შეუპოვრობა, ენერგია, თავშეკავების უნარი, ნებელობა და ზნეობა, თუმცა ზნეობა უფრო მეტია, ვიდრე ხასიათის ელემენტი. ხალხთა სიდიადე დამოკიდებულია მათ ზნეობაზე, ის ყოველი ხალხისთვის მემკვიდრეობითი და თითქმის არაცნობიერია. ხასიათის თვისებები უცვლელია, მაშინ როდესაც ჭკუის, თუ გონების თვისებები იცვლება აღზრდის შრდეგად. გონების აღმოჩენები გადაეცემა სხვადასხვა ხალხებს, ხასიათი კი არ გადადის ერთი ხალხიდან მეორეში. "ხალხის ხასიათი და არა მისი ჭკუა განსაზღვრავს მის განვითარებას ისტორიაში". "ხასიათი საუკუნეების განმავლობაში უყალიბდება ხალხებს და მათ ცხოვრებაში ყველაზე ძლიერი ფაქტორია". ამ მტკიცების დასასაბუთებლად ლებონი იყენებს რომაელების მაგალითს, დაცემის ხანის რომაელები უფრო ჭკვიანები იყვნენ, ვიდრე მათი წინაპარი ველურები, მაგრამ მათი დაცემა განაპირობა ხასიათის დაკარგვამ, კერძოდ, გაქრა ხასიათის ისეთი ნიშნები როგორცაა: შეუპოვრობა, ენერგია, სიმტკიცე, იდეალისთვის თავგანწირვის უნარი, კანონისადმი პატივისცემა. ლებონის აზრით, აზროვნება და მსჯელობა კი არ აძლევდა ხალხებს დიდებას, არამედ ხასიალი, მასზე აგებული საზოგადოებანი, რელიგიები და იმპერიები. ინგლისელი ხალხის ხასიათმა განაპირობა ის, რომ სამოცი ათასი ინგლისელი იმორჩილებს ორას ორმოცდაათ მილიონ ინდუსს. ლებონის აზრით, აქამდე, რიბოს გამოკლებით, ფსიქოლოგები არ აქცევდნენ ყურადღებას ხასიათს, ძირითადად ჭკუასა და გონებაზე გადაჰქონდათ აქცენტი, ამიტომ ვერ ხსნიდნენ ისინი ხალხების ცხოვრებას. ვისაც უნდა, "გაეცნოს ხალხთა შედარებით ფსიქოლოგიას", მან პირველ რიგში უნდა შეისწავლოს ხასიათი". ხასიათი ისევე მყარია ხალხებში, როგორც ორგანიზმის ანატომიური ნიშნები. "რასების ფსიქიკური წყობიდან გამომდინარეობს მათი წარმოდგენა სამყაროსა და სიცოცხლეზე, მაშასადამე, მათი ქცევა და ისტორიაც". ლებონი რასათა და ხალხთა კონფლიქტების საფუძველსაც მათი ხასიათების განსხვავებაში ხედავს. მისი აზრით, ხალხის სული განსაზღვრავს მის ყოფას და რადგან ყოველ ხალხს თავისი ინდივიდუალური სული აქვს, ამიტომ ერთი ხალხის კულტურა და ცივილიზაცია ყოველთვის მიუღწეველი და გარეგანი



იქნება მეორე ხალხისთვის. ბევრი ხალხი ლაპარაკობს ინგლისურ ენაზე, იცნობს მის ინტელექტუალურ მიღწევებს, მაგრამ ვერასოდეს გახდებიან ინგლისელები, რადგან განსხვავებული სულით არიან ნასაზრდოები. ლებონთან გადაჯაჭვულია ერთმანეთთან ფსიქოლოგიზმი და ბიოლოგიზმი. სოციოლოგიაში, ბიოლოგისტური მიმდინარეობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სოციალური ყოფიერების დასახასიათებლად ლებონი იყენებს ისეთ ფენომენს, როგორცაა რასობრივი განსხვავება, მაგრამ, ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქიკურ ფენომენს, განსაკუთრებით ხალხის სულს, იმდენად, რომ ხალხის ყოფიერებას აიგივებს მის სულთან, ხალხი შეიძლება მრავალჯერ დაეცეს და ისევ აღზვედეს, "მაგრამ თუ თავისი სული დაკარგა, მაშინ ყველაფერი დაკარგული აქვს და ვერასოდეს აღდგება". ლებონის აზრით, ხალხის სული ქმნის არამართო სოციალური ცხოვრების კანვას, არამედ მთელ ისტორიას. "ისტორია ძირითად ნიშნებში შეიძლება განვიხილოთ როგორც იმ შედეგთა გადმოცემა, რომელთაც რასათა ფსიქოლოგიური წყობა ქმნის". ისტორიისათვის, ლებონის აზრით, ფსიქიკური წყობა იგივეა, რაც თევზის სასუნთქი ორგანოები მისი წყალში ცხოვრებისათვის. ხალხის სული ქმნის მის ხვედრს თუ ბედს. ამიტომ, ხალხის ისტორიის გასაგებად მთავარისა მისი სულის ცოდნა. ყოველ ხალხს განსხვავებული და ხშირად დაპირისპირებული პოლიტიკური მსოფლმხედველობანი ამოძრავებს, მაგრამ ამ დაპირისპირებაშიც თავს იჩენს მათი ერთიანი, საერთო ფონდი, სულიერი თუ ფსიქოლოგიური იდეალი. ფრანგების დაყოფა მონარქისტებად, რადიკალებად და სოციალისტებად, ლებონს ერთი სულიერი იდეალის გამოხატულებად მიაჩნია - ესაა პიროვნების შთანთქმა სახელმწიფოს მიერ. მაგრამ, მისი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა, მმართველს რა ეწოდება: მეფე, იმპერატორი, პრეზიდენტი, კომუნა, მუშათა სინდიკატი თუ სხვა... კიდევ მეტი, ლებონის აზრით, რევოლუცია მონარქიის საქმეს აგრძელებს. მონარქიის მიერ დანყებული ცენტრალიზაცია რევოლუციით მთავრდება. სოციალიზმის მიმართ უკიდურესი სიძულვილი მას მიიყვანს მტკიცებამდე: "სოციალიზმი სხვა არაფერია, თუ არა მონარქიის იდეის უკიდურესი გამოხატულება, რომლისთვისაც რევოლუცია დამაჩქარებელი ფაზა იყო". ლებონის აზრით, ყოველი სოციალური ინსტიტუტი ხალხის სულს გამოხატავს. ფრანგული დანესებულებანი, რა სახელიც არ უნდა ჰქონდეთ მათ, სახელმწიფოს ბატონობის გამომხატველია, ინგლისური - პიროვნების ბატონობის. საერთოდ ლებონის იდეალია ანგლო-საქსები. ყველა ის ნიშანი, რასაც ის უმაღლეს რასებს მიაწერს, მისი აზრით, დამახასიათებელია ანგლო-საქსებისათვის, ესაა: ძლიერი ნებისყოფა, დაუოკებელი ენერჯია, დიდი ინციატივა, აბსოლუტური თავდაჭერა, დამოუკიდებლობის გრძნობა, აქტივობა, მკვიდრი რელიგიური გრძნობები, მყარი ზნეობა და მოვალეობის ნათელი შეგნება. ლებონისათვის ფსიქიკურ ფაქტებთან შედარებით, ყველა დანარჩენი უმნიშვნელოა. განსაკუთრებით უარყოფს გეოგრაფიული გარემოს როლს. ლებონი ამტკიცებს, რომ გარემო ვერ ცვლის ფსიქიკას. ჩრდილოეთ ამერიკა ანგლო-საქსებმა



დაიკავეს, სამხრეთი კი ესპანელებმა. სრულიად განსხვავებულ გარემოში მოხვდა ორივე, მაგრამ მათი სულიერი წყობა არ შეცვლილა. პოლიტიკური წყობა, მმართველობის ფორმები და ყველა სოციალური დაწესებულება მეორადი და წარმოებულია როგორც სულის პროდუქტი. ლებონისთვის ხალხის სული არა მარტო განსაზღვრავს ცივილიზაციის განვითარებას, არამედ მთელი ცივილიზაცია თავის ელემენტებით ხალხის სულის გამოვლენაა. ლებონი უარყოფს ერთმნიშვნელოვან კავშირს ცივილიზაციასა და მის ელემენტებს შორის. ცივილიზაციის ცალკეული ელემენტების განვითარება არ არის არც ცივილიზაციის და არც ხალხის განვითარების მაჩვენებელი. ის გამორიცხავს აუცილებლობას იმისას, რომ ხელოვნება როგორც ცივილიზაციის ელემენტი, მასთან ერთად პროგრესირებდეს. ხელოვნებას დამოუკიდებელი ევოლუცია გააჩნია, მისი აყვავება და დაცემა არ ემთხვევა ცივილიზაციისას. "არც ერთ ისტორიულ ეპოქაში ცივილიზაცია არ ყოფილა ისე მაღალი, როგორც ამჟამადაა და ალბათ არცერთ ეპოქაში არ ყოფილა უფრო ბანალური და არაინდივიდუალური ხელოვნება, როგორც დღეს არის". ლებონის აზრით, ყველა ეპოქაში ხელოვნებას თავისი იდეალი აქვს, ისე როგორც ყოველ რასას და ხალხს. "ყოველი ესთეტიკა გარკვეული ეპოქის და რასის მნიშვნელობის იდეალია და იმის გამო, რომ ეპოქები და რასები სხვადასხვაგვარია, მშვენიერების იდეალიც მუდამ იცვლება". ლებონის აზრით, ყოველი ხალხის ხელოვნებაში უკეთ ამოიკითხება ამ ხალხის ისტორია, ვიდრე ტენდენციურად შედგენილ ამ ხალხის ისტორიულ ნაშრომში, რადგან ხელოვანნი სამყაროს ტრადიციით, იდეებით და რწმენით და ყველაფერი იმით განსაზღვრულნი ხედავენ, რისი ერთობლიობაც ხალხის სულია: ლებონი თავისებურად იმეორებს რუსოს დებულებას, როცა ამტკიცებს, ხალხებს ღუპავს მათი ხასიათის გაუარესება, ხოლო ხასიათი ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ფუჭდება. ლებონის აზრით, ყოველი სოციალური ინსტიტუტი - რწმენა, ხელოვნება, მართვის სისტემა, ენა თუ სხვა ყოველ ხალხში მოდიფიკაციას განიცდის მათი სულის შესაბამისად. ბუდიზმიც და ქრისტიანობაც სხვადასხვა ხალხებში, სხვადასხვა სახეს იღებს, ისე როგორც მართვის სისტემები, როგორცაა რესპუბლიკა და მონარქია. ეს ნიშნავს, რომ ხალხის სული განსაზღვრავს კულტურისა და ცივილიზაციის ყველა ელემენტს. "დაწესებულებათა ერთადერთი სარგებლიანობა ისაა, რომ კანონიერების სანქციას აძლევს იმ ცვლილებებს, რომლებიც უკვე მიღებულია ზნეობისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ. დაწესებულებებით კი არ იცვლება ხალხთა ხასიათი და აზრი, არამედ პირიქით". ენაც კი, რომელიც ერთი შეხედვით მყარია, ყოველი ხალხის მიერ თავისებურად გარდაიქმნება.

## 5. იდეათა როლი ცივილიზაციის განვითარებაში

ლებონის თვალსაზრისი საზოგადოების მამოძრავებელი ძალების შესახებ საბოლოოდ ფსიქოლოგისტურია, რადგან სწორედ ფსიქოლოგიური ცვლილებებით ხსნის ცოცხალურს,



მაგრამ ლებონს უნდა თავი დააღწიოს ცალმხრივობას და ის დგება ფაქტორების თვალსაზრისზე. მისი აზრით, ფსიქოლოგიურ ცვლილებებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, ფსიქოლოგიურის გვერდით ბიოლოგიური, გეოგრაფიული და სხვ. "ფსიქოლოგიურ ცვლილებათა გამომწვევი ფაქტორები მეტად მრავალფეროვანია. მათ მიეკუთვნება მოთხოვნილებანი, არსებობისათვის ბრძოლა, გარემოს მოქმედება, ცოდნის და მრეწველობის წარმატებანი, აღზრდა, სარწმუნოება და სხვ". ამ პლურალიზმის მიღმა ლებონთან მაინც ფსიქოლოგისტურ მონიშმთან გვაქვს საქმე, რამდენადაც ცივილიზაციის ძირითადი განმსასღვრელი ძალა ხასიათია, მასზე კი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ იდეები. ლებონის აზრით, იდეები რეალურ ძალად იქცევა, როდესაც ქცევის მოტივებით შემუშავებულ გრძნობებს დაეუფლება და ზემოქმედებს ქცევაზე. ხალხის თუ სხვა სოციალურ ერთობათა ცივილიზაციებს განსაზღვრავს მათში შემუშავებული, მათი ხასიათის მყარ შემადგენელ ნაწილად გამხდარი იდეათა მცირე ჯგუფი, ზოგჯერ ერთი ან ორი იდეაც კი. "ცივილიზაციები ძირითადად იდეათა შედეგია და იდეათა ცვლილებასთან ერთად იცვლებიან". ცივილიზაციის ყოველი ელემენტი - ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება და ა.შ. იდეათა მცირე ჯგუფს ექვემდებარება. მთელი ეპოქები რამდენიმე იდეით ცხოვრობს. ასე მაგალითად, შუა საუკუნეები ორი ძირითადი იდეით წარიმართებოდა: რელიგიური და ფეოდალური. ლებონი იდეათა გავრცელების გარკვეული კანონზომიერების დადგენასაც ცდილობს, მისი აზრით, იდეებს ჯერ მოციქულები ირწმუნებენ, მათი სახელი იდეებს ავტორიტეტს სძენს. შემდეგ ამ იდეებს მოციქულები მასებს შთააგონებენ. ლებონის აზრით, მასისთვის დასაბუთებას არა აქვს ძალა. მთავარია იმის ავტორიტეტი, ვინც იდეას შთააგონებს. მოციქულები მათ გარშემო შექმნიან რწმენის უტყუარობაში დარწმუნებულთა ჯგუფს. ამ გზით ახალი იდეა ოპოზიციაში აღმოჩნდება ძველთან. ახალი იდეა ორიენტაციას ყოველთვის ახალგაზრდობაზე იღებს, რადგან ის სადავოა, ახალგაზრდობაც მას ესწრაფვის, ვინაიდან ახალგაზრდობა დამოუკიდებლობას იჩემებს და მისი გამოვლენის ყველაზე კარგ ფორმად გაბატონებულ იდეათა მიმართ ოპოზიციას თვლის. ამ ეტაპზე იდეა სწრაფად ვრცელდება და ვერაფერი აჩერებს, ის დაავადებასავით გადაედება ადამიანებს მიბაძვის გზით. მას შემდეგ, რაც ის გრძნობებს დაეუფლება, გარანტირებული აქვს დიდხანს ბატონობა. ასეთებსპირველ რიგში პოლიტიკური იდეები მიეკუთვნება. ისინი ეუფლებიან მსჯელობის უნარს მოკლებულ ბრბოს და უძლეველ ძალად იქცევიან, რომლებიც გადატრიალებას იწვევენ. იდეის რწმენას მხოლოდ იდეა უნდა დაუპირისპირდეს. სხვა ძალა მას ვერ შეაჩერებს. "რწმენას არ ჰყავს რწმენაზე უფრო სერიოზული მტერი". ლებონის აზრით, ცივილიზაციის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია რწმენა, სულ ერთია, იქნება ეს რელიგიური, პოლიტიკური, ზნეობრივი თუ სხვა იდეისადმი. რელიგიასა და პოლიტიკაში წარმატებას აღწევენ მორწმუნეები და არა სკეპტიკოსები. მომავალი რომ სოციალისტებს ეკუთვნით,



გამონვეულია იმით, რომ მათ სწამთ საკუთარი იდეის. თანამედროვე საზოგადოების გაბატონებული კლასის კრიზისულობა გამონვეულია რწმენის დაკარგვით, ურწმუნონი განწირულნი არიან. იდეა ხეტიალისა და მერყეობის შემდეგ მასებს რომ დაეუფლება, დოგმატად იქცევა, რომელიც აბსოლუტური ჭეშმარიტების მნიშვნელობისაა და არაა სადავო. იდეას ინტელექტუალები ქმნიან, მაგრამ ძალას მასები აძლევენ. მასებს დაუფლებული იდეა ცივილიზაციის ყველა ელემენტს განსაზღვრავს. საშუალო საუკუნეებში ასეთივე ძალა აქვს სოციალიზმს. ყოველი ხალხი მას თავისებურად წარმოადგენს, მაგრამ ყოველი მათგანი სამოთხეს უკავშირებს. იდეის პროგრესირება ხდება მანამ, სანამ დოგმატად იქცევა, შემდეგ გარანტირებული აქვს დიდი ხნის ბატონობა, ბოლოს ძველდება და რეგრესირდება. იდეის ბატონობასა და ცვლილებას განაპირობებს ორი ძალა - კრიტიკული სული და მიმბაძველობა. პირველი განსაზღვრავს იდეათა ცვლილებას, მეორე მათ ბატონობას დოგმატის ფორმით. კრიტიკული სული ერთეულების კუთვნილებაა, მიმბაძველობა კი მასის ნიშანია, ამიტომ იდეები უფრო მყარი არიან, ვიდრე ცვალებადი. "ხალხის სული შედგება საერთო ტრადიციათა, იდეათა, გრძნობათა, რწმენათა, აზროვნების წესთა ბადისაგან".

ლებონის აზრით, პერიოდი, როდესაც ძველი იდეები კარგავენ ძალას და ახალნი ჯერაც არ გაბატონებულან - კრიზისულია. ასეთია მისი ეპოქა. ძველი რწმენა დაიკარგა სარწმუნოების სახით, ხოლო ახალი იდეა სოციალიზმისა ჯერაც არ გაბატონებულა. ლებონის აზრით, რევოლუციები და ომები კი არაა საზოგადოებისათვის საშიში, არამედ იდეები. "ნამდვილი რევოლუციები, რომლებიც საშიშია ხალხის არსებობისათვის, ისაა, რომელიც მათ აზრებს ეხება". ლებონისათვის ყველაზე საშიში სოციალიზმის იდეაა. "შრომის, კაპიტალის, კერძომესაკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევის სოციალისტური იდეები ბოლოს მოუღებენ იმ ხალხებს, რომლებიც ომებისაგან და გაკოტრებისაგან დალუპვას გადაურჩნენ ". იდეების გავრცელებას ადამიანები წინ ვერ აღუდგებიან მაშინაც კი, როდესაც ამ იდეებს დალუპვამდე მიჰყავს. "იდეების მიმართ ცხვრები ვართ, მორჩილად მივდევთ სარქალს, რომელსაც სასაკლაოზე მივყავართ. ლებონის აზრით, კაცობრიობა განწირულია და ისღა დაგვრჩენია, "დაითვალოს ის ქიმრები, რომლებსაც ჯერ იგონებდა და შემდეგ მათი მსხვერპლი ხდებოდა". იდეის ანალიზი ლებონთან ვრცელდება ცალკეულ დარგთა იდეებზეც. განსაკუთრებით დაწვრილებით განიხილავს რელიგიურ იდეათა როლს ცივილიზაციის ცხოვრებაში, რადგან მიაჩნია, რომ "რელიგიური რწმენა, ხალხების ცხოვრებაში და შესაბამისად მათ ისტორიაში ყოველთვის ყველაზე მთავარი ელემენტი იყო", რომ ისტორიაზე კოლოსალურ გავლენას ახდენდა ღმერთების დაბადება და სიკვდილი. "ახალ რელიგიურ იდეასთან ერთად იბადება ახალი ცივილიზაცია". ლებონის აზრით, ღმერთები ადამიანებმა შექმნეს, მაგრამ ღმერთებმა დაიმონეს ადამიანები. ღმერთები იმედის შედეგია და არა შიშის. ღმერთები უქმნიან ადამიანს ისეთ სულიერ ვითარებას, რომელსაც ბედნიერება მოაქვს.





ამიტომ, რომ კოცონზე წამებულნი უფრო ბედნიერად თვლიან თავს, ვიდრე მათი ჯალათები. ცივილიზაცია პროგრესის დედაა, რელიგია კი მისი წყარო. იგივე ცივილიზაცია სოციალიზმისა და ანარქიის დედაცაა. ლებონის აზრით, ცივილიზაციამ გადასარჩენად არა სოციალისტური, არამედ რელიგიური იდეალი უნდა ეძებოს.

## 6. ლებონის სოციალურ-ფსიქოლოგიური მოძღვრება

ლებონის შრომა ბრბოს ფსიქოლოგიაზე 1894 წელს გამოვიდა. ამ შრომაში, როგორც თვითონ ამტკიცებს, მან ყოველგვარ სოციალურ ჯგუფთა და ინტელექტუალურ სკალათა ინტერესების გათვალისწინების გარეშე შეძლო მეცნიერულად განეხილა სრულიად ახალი ფენომენის - ბრბოს ფსიქოლოგიის საკითხი. უფრო სწორად ფენომენი არ ყოფილა ახალი, რადგან ბრბოს მოქმედება, მისი აზრით, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ის მნიშვნელობა, რომელიც მას თანამედროვე ეპოქაში გააჩნია, არასოდეს ჰქონია. ამ თეორიის სიახლე ისაა, რომ ჩვეულებრივ რასის სული ხასიათდებოდა როგორც მის შემადგენელ ინდივიდთა საერთო ნიშნების ერთობლიობა და თითქოს ამის საფუძველზე ამ ინდივიდთა ერთობის სულიც იგივე უნდა ყოფილიყო, ლებონი უარყოფს ამას და ამტკიცებს, რომ ინდივიდთა სულისაგან განსხვავებულია ერთობის სული და ქმნის "ახალ ფსიქოლოგიურ ნიშნებს". ინდივიდებთან დაპირისპირებაში და ამ ახალი ფსიქოლოგიური ნიშნების დახასიათებაში გამოჩნდება ის სპეციფიკა, რაც ინდივიდის ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, ქმნის სოციალური ფსიქოლოგიის საგანს და რაც ჯგუფის სოციოლოგიაა. ლებონის სიტყვებით, "ბრბოს ფსიქოლოგია ინდივიდთა ფსიქოლოგიისაგან "განსხვავებულია". ინდივიდის დამახასიათებელია ცნობიერი მოქმედება, ბრბო კი არაცნობიერად მოქმედებს. "ჩვენი ეპოქის უმთავრესი ნიშანია ინდივიდთა ცნობიერი მოღვაწეობის შეცვლა ბრბოს არაცნობიერი მოქმედებით". სოციალურ - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არსებითი მომენტი ლებონთან იმით გამოიხატა, რომ მიუთითა განსხვავებაზე ინდივიდისა და ჯგუფის ფსიქოლოგიებს შორის. მისი აზრით, ის, რაც ინდივიდს, როგორც ინდივიდს, ახასიათებს ფსიქიკური წყობის სახით, სახეს იცვლის ჯგუფისა და უფრო დიდი სოციალური ერთობების შემთხვევაში. ამიტომ ცალ - ცალკე ყველა ინდივიდის ფსიქიკური წყობა რომ შევისწავლოთ, ამით ვერ ამოვწურავთ მათი ერთობის სოციალურ - ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას, რადგან ეს ერთობა არაა ინდივიდთა ფსიქიკური წყობის უბრალო ჯამი, იგი ინდივიდის ფსიქიკური წყობისაგან არსებითად განსხვავებულია. "ყველაზე საოცარი ფაქტი, რომელსაც ვხედავთ გასულიერებულ ბრბოში, შემდეგია: როგორც არ უნდა იყოს ბრბოს შემადგენელი ინდივიდები, მათი ცხოვრების წესი და დასაქმება, ხასიათი და ჯგუფი, მათი ბრბოდ გადაქცევა საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას კოლექტიური სულის გვარობა, რომელიც აიძულებს, გრძნობდნენ,



ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე იფიქრებდა, იმოქმედებდა და იგრძნობდა ყოველი მათგანი ცალ - ცალკე".

ლებონის აზრით, ბრბოს შემთხვევაში ინდივიდუალური სულის ადგილს იჭერს კოლექტიური, რომელიც ბრბოსთან ერთად აღმოცენდება და აძლევს მას ორგანიზებული მასის ხასიათს. ამავე დროს, სრულიად განსხვავებულ კანონზომიერებას ექვემდებარება, ვიდრე ინდივიდუალური სული. სწორედ ამ კოლექტიური სულის კანონზომიერება გახდა ლებონისთვის ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის ახალი დარგის საგანი. ლებონის თეორიის განხილვა გვარწმუნებს, რომ ის ფაქტობრივად იმის საპირისპიროა, რისი პრეტენზიაც აქვს. კერძოდ, ლებონი პრეტენზიას აცხადებს ობიექტურობაზე, სოციალურ ინტერესთა ჯგუფზე მაღლა დგომაზე, მაგრამ ასეთი დაუინტერესებელი ცნობიერების ნიშნით არ ხასიათდება ამ თეორიის არც ერთი დებულება. როგორ შეიძლება დაუინტერესებელი ცნობიერების ნიმუშად ჩაითვალოს თეორია, რომელიც მისტირის წარსულს, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაზღვრავდა მეთვისა და არისტოკრატიის იდეები. თანამედროვე ეპოქას კი, რომელიც მასების აზრის ბატონობით ხასიათდება, ქაოსურს და კრიზისულს უწოდებს. მისი აზრით, ოქროს ხანა წარსულშია. ცხადია, ლებონი თავისი რომანტიზმით, მასებისადმი შეურიგებლობით იცავს იმალ თვალსაზრისს, ვინც ისტორიის სცენიდან გავიდა. ლებონის არისტოკრატიზმი ჩანს მისი თეორიის ყველა პუნქტში, მაშინაც, როცა ამტკიცებს, რომ მასებს შემოქმედება არ შეუძლიათ და მხოლოდ დანგრევის უნარი აქვთ და მაშინაც, როდესაც ცივილიზაციის მშენებლებად მიიჩნევს მხოლოდ რჩეულთ. "ცივილიზაციები იქმნებოდა და შენარჩუნდებოდა ერთი მუჭა ინტელექტუალური არისტოკრატიის, მაგრამ არასდროს ბრბოს მიერ. ბრბოს ძალა მხოლოდ ნგრევისკენაა მიმართული, ბრბოს ბატონობა ყოველთვის ბარბაროსობის ფაზაზე მიუთითებს". თუ თანამედროვე ეპოქა, როგორც თვითონაც აღიარებს, ბრბოს ბატონობის ეპოქაა, თანამედროვეობის ნიშანია რელიგიის შეცვლა მეცნიერებით. რელიგია კი დოგმატიკაა, რომელსაც ინტელექტი არ სჭირდება, ის ბრმა რწმენას ემყარება. მეცნიერება საპირისპიროა, მასში მთავარია ჭეშმარიტების ძიება, რაც მძლავრ ინტელექტს მოითხოვს. თუ ხალხის ბატონობა ხასიათდება მეცნიერების განვითარებით და დომინანტურობით, ეს მაჩვენებელია სწორედ ინტელექტის გაძლიერების და არა გონებრივი სისუსტის, როგორც ლებონი ამტკიცებს.

### **კრიზისის გაცნობიერება**

XX საუკუნის სოციალურ - ფილოსოფიური აზროვნების ორი ძირითადი - ოპტიმისტური და პესიმისტური - ტენდენციიდან ლებონი უკანასკნელის წარმომადგენელია. ის ცდილობს, ცივილიზაციათა ისტორია, რომლის მსვლელობაში ცივილიზაციები წარმოიშობიან, ვითარდებიან და კვდებიან, წარმოადგინოს როგორც კანონზომიერი თუ არა, ყოველ



შემთხვევაში, აუცილებელი ციკლი მაინც და ამ ციკლის დაქვემდებარების სფეროდ აცხადებს თანამედროვე ცივილიზაციებსაც. ლებონის აზრით, ცივილიზაციის შენება და ნგრევა დამოკიდებულია ხალხის ხასიათზე, როდესაც ხასიათში ხდება დეგრადირება, შესაბამისი ცივილიზაციაც იწყებს ნგრევას. "სხვადასხვა ხალხების თანდათანობით დალუპვასთან მიმყვანი მიზეზების კვლევისას აღმოჩნდება, რომ დაცემის მთავარი ფაქტორია ცვლილება მათ სულიერ წყობაში, რომელიც ხასიათის დეგრადირებამ გამოიწვია". ცივილიზაციის არსებობასა და დალუპვაში სულიერი ცხოვრების ორი სფეროდან განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის ხასიათს და არა ინტელექტს. ისტორიაში არ არსებობს ხალხი, რომელიც "გაქრა მის გონებრივ უნართა დაქვეითების შედეგად". ხასიათის, როგორც ცივილიზაციის განმსაზღვრელის კომპონენტებიდან ძირითადია: ზნეობა, ინიციატივა, ნებელობა. მათი დაკარგვა იწვევს ცივილიზაციის რღვევას. ცივილიზაციის დაცემის მაჩვენებელია, პირველ რიგში, ხალხის კმაყოფილება თავისი მიღწევებით და განცხრომა, თვითკმაყოფილების გრძნობა და საკუთარი თავისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება, ეგოიზმი და სამყაროს ცენტრად საკუთარი თავის დასახვა, მატერიალური სიმდიდრისადმი გამოდევნება, დაცემის ეპოქა არ გულისხმობს ინტელექტის დაქვეითებას, შეიძლება პირიქითაც იყოს, სწორედ დაცემის ეპოქაში იყო რომში ყველაზე მეტი მწერალი და მხატვარი, მაგრამ დაკარგა ის ძირითადი, რომლის შეცვლა არავითარ გონებრივ განვითარებას არ ძალუძს - ხასიათი. გაფუჭდა ზნეობა, დაიშალა ოჯახი, დაცემის ეს ფაქტორები განაპირობებენ თანამედროვე ცივილიზაციის კრიზისსაც. მათ მიემატა მეცნიერებაც. მეცნიერების აღმოჩენებმა წაართვა ავტორიტეტი რელიგიას და ბუნების სრული გულგრილობა მის მიმართ". ცივილიზაციის ძალა მდგომარეობდა იდეებისადმი რწმენაში, რწმენის შეურყევლობაში. ამ რწმენის დაკარგვამ მიიყვანა ცივილიზაცია დაცემამდე. ლებონი აღიარებს, მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის, მაგრამ არა იმის გამო, რომ ის შეცვლის ნივთთა ვითარებას, არამედ იმიტომ, რომ ის არის იდეა, რომლის ჭეშმარიტებაც სწამთ. საეჭვო იდეა მასებზე ვერ მოქმედებს "მას შემდეგ, რაც იდეის ღირებულება სადავო გახდება და ადამიანის გონებაში ეჭვი დაიბადება, საზოგადოება განწირულია კვდომისათვის". საზოგადოებაში იდეებზე ძლიერი არაფერია. ხალხებისათვის საშინელია ის საათი, როდესაც ძველი იდეები გარდაცვლილ ღმერთთა მინისქვეშა სამფლობელოში ეშვებიან. სწორედ თანამედროვე ცივილიზაციაში ხდება აღნიშნულ იდეათა მსხვრევა და ცივილიზაციის საყრდენის მოშლა. ეს ვლინდება ინიციატივის, ენერჯის, ნებელობის და მოქმედების უნარის დაკარგვაში, როდესაც ერთადერთი იდეალი ხდება მუდმივად მზარდი მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ლებონი ფაქტობრივად ახასიათებს მომხმარებლური საზოგადოების ნიშნებს. შეიძლება მის ეპოქაში ეს არ იყო ძირითადი ტენდენცია, მაგრამ მან შეძლო კრიზისის განვითარების განჭვრეტა. ლებონის აზრით, ცივილიზაციის გადაგვარება ადამიანის გადაგვარებაა. თანამედროვე ადამიანი შემთხვევითობათა სამეფოში ბორიალობს



მართვადაკარგული გემივით. რასაც ადამიანები ესწრაფვიან, მის საწინააღმდეგოდ იქცევა მათი მეშვეობით. მასები ცდილობენ თავისუფლების მოპოვებას და, ამავე დროს, თავიდან იშორებენ მას, რადგან სახელმწიფოს ანდობენ თავიანთთვის ბორკილების გამოჭედვას. ლებონის აზრით, თავისუფლება ტანჯავს ადამიანებს, მათ მონობა ურჩევნიათ. როდესაც ფრანგებმა მიაღწიეს თავისუფლებას, შემდეგ უკვე ნახევარი საუკუნეც ვერ გაუძლეს მას და ნაპოლეონის მემკვიდრეს სიამოვნებით ჩაბარდნენ მონობისათვის. ლებონი იმასვე ამტკიცებს, რასაც მისი თანამედროვე და შემდგომი მოაზროვნეები. მათ მიხედვით, ადამიანისათვის თავისუფლება აუტანელი ტვირთია და ცდილობს გაექცეს მას. ეს ნიშნავს უარის თქმას თავისუფლებაზე. ერთ შემთხვევაში ეს სარწმუნოებისადმი მონობით გამოიხატება, რაც კარგად აჩვენა დოსტოევსკიმ "დიდ ინკვიზიტორში", მეორე შემთხვევაში ადამიანები უარს ამბობენ თავისუფლებაზე იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის ეშინიათ. პასუხისმგებლობის თავიდან აცილება კი შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც გადანყვეტილება თვითონ არ გამოაქვთ და მოქმედებენ ისე, როგორც ყველა სხვა. ე.ი. იქცევიან მეს მოკლებულ man - ებად. ასეთია ექსისტენციალისტების თვალსაზრისი. ლებონი ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი გამტარებელია. მისი აზრით, ახალი თაობები უფრო გაურბიან პასუხისმგებლობას, ისინი კმაყოფილდებიან დაკისრებული შეზღუდული ფუნქციით, რისთვისაც ხელფასს იღებენ და უარს ამბობენ ისეთ კარიერაზე, რომელიც მათგან მოითხოვს ინიციატივას, ენერჯიას, პირად ძალისხმევას და ნებელობას, გაგებას. ყველა სფეროში ბატონდება უსაზღვრო ეგოიზმი. საზოგადოებრივი საქმიანობისათვის თავდადების ნაცვლად ამოტივტივდება პირადი კინკლაობანი, წუნუნი ცხოვრების სიძნელეების გამო და სენტიმენტალიზმი. განსაკუთრებით დამატვიქრებელი სურათია ზნეობის დაცემის სფეროში. იმდენად, რომ "ცნობილ ხალხთა ხასიათი და ზნეობა განუკურნებელი დაავადებითაა შეპყრობილი და მათი როლი სამყაროში დასასრულს უახლოვდება". ყოველივე ამის შეცვლა ძალზე ძნელია, რადგან მოითხოვს მთელი აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნას, რაც თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლია. ლებონის აზრით, თვით ისტორია შეიცავს გადაუჭრელ წინააღმდეგობას, რადგან მისი განვითარება ნიშნავს სხვადასხვა ხალხთა, ფენათა თუ კლასთა დონეებში სხვაობის ზრდას და ერთმანეთისაგან დაშორებას, მაშინ, როდესაც ეს ხალხები და კლასები იბრძვიან თანასწორობისათვის. იქ, სადაც თანასწორობაა, ცივილიზაცია არ არის, იქ, სადაც ცივილიზაციაა, თანასწორობა არ არის. ეს ნიშნავს, "ცივილიზაციის გარდუვალი შედეგია ინდივიდთა და რასათა დიფერენციაცია, მაშასადამე, ხალხები თანასწორობისკენ კი არ მიდიან, არამედ სულ უფრო მეტი უთანასწორობისკენ". ის, რასაც ლებონი ქადაგებს, შემდეგ ბერდიაევთან "უთანასწორობის ფილოსოფიის" სახელითაა ცნობილი, რადგან სწორედ უთანასწორობას მიიჩნევენ ბერდიაევი და ლებონი საზოგადოების განვითარების მაჩვენებლად. ლებონის აზრით, სიცარიელე, რომელშიც ადამიანები არსებობენ, იმის



შედგება, რომ იდეალები შეცვალა ჭკუის ინტერესებმა. ლებონის დიაგნოზი თანამედროვე საზოგადოების მიმართ გამოთქმულია მისი შრომის შემაჯამებელ ნაწილში. "ჩვენ ვცხოვრობთ ერთ-ერთ იმ პერიოდში, როდესაც ცა დროებით ცარიელდება, თუნდაც ამის გამო უნდა შეიცვალოს სამყარო".

გ. ლებონის შრომაში - "ბრბოს ფსიქოლოგია" - კრიზისის სურათი უფრო ნათლად არის ნაჩვენები. ამოსავლად აღებულია მტკიცება, რომ კაცობრიობის განვითარებას განსაზღვრავს იდეები და ცივილიზაცია მყარია, როდესაც იდეები უცვლელია. მაგრამ გარკვეულ მომენტში იცვლება იდეები და რწმენა. მოჩვენებითად დიდი პოლიტიკური მოვლენები თვარავს ყველაფერს და ისტორიის წარმმართველად ისინი მიაჩნიათ, მაგრამ რეალურად ისტორიას იდეები წარმართავენ, რომლებიც შეუმჩნევლად იცვლებიან და, როდესაც დგება ეს ცვლილების მომენტი, წარმოიშობა კრიზისიც. საზოგადოება კარგავს ძველ იდეებს, ახალი იბრძვის დამკვიდრებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იკავებს ადგილს, ასეთ ეპოქას ლებონი კრიტიკულს, გარდამავალს, ანარქიულს უწოდებს. ლებონის აზრით, ძნელია იმის განსაზღვრა, რა მოჰყვება ასეთ ქაოსურ პერიოდს და მაინც უტყუარად შეიძლება იმის თქმა, რომ კრიზისულმა ეპოქამ წარმოშვა გაბატონებისაკენ მსწრაფი ახალი ძალა, მასები. "მასების ძლიერება ერთადერთია, რომელსაც არაფერი ემუქრება და, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. მომავალი ეპოქა ჭეშმარიტად მასების ერა იქნება". ლებონის აზრით, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვითარება არსებითად შეიცვალა. ნახევარი საუკუნის წინათ აბსოლუტურად ბატონობდა მეფეების აზრი, საზოგადოებრივი კი საერთოდ არ არსებობდა. ამჟამად არავის უწევს ანგარიშს და ბრბოს ხმა ხდება გადამწყვეტი. "მასები კარნახობენ მთავრობას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ და სწორედ მასების სურვილის ყურადღებას ცდილობს მთავრობა. ამჟამად ერის ბედი წყდება არა მეფეთა სათათბიროში, არამედ ბრბოს სულში". ლებონის აზრით, მომავალი ეპოქის დახასიათებისათვის ყველაზე არსებითია მასების გაბატონება და ის, რომ მათ აზრს ძალა აქვს. ლებონისათვის სწორედ ესაა კრიზისი. ლებონმა სწორად დაინახა მასების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის ეპოქა, მაგრამ მისმა უარყოფითმა პოზიციამ მასების მიმართ ხელი შეუშალა, სწორად შეეფასებინა ეს ფაქტი. სინამდვილეში მასების გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე და მათი მოძრაობა კრიზისის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა. ისტორიაში დადგა პერიოდი, როდესაც მმართველ კლასებს ძველებურად აღარ ძალუძოთ, იყონ წარმმართველნი, მასებში გაიღვიძა თვითცნობიერებამ და ისინი მზად არიან, მართონ სამყარო. ლებონიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ მასები უკვე წარმართავენ ყოველი ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, მათ შეხედულებაზე დამოკიდებული შრომის ორგანიზაცია და მთავრობათა პოლიტიკა. შემუშავებული აქვთ სიკეთის იდეები, მაგრამ ლებონი, ამავე დროს, ამტკიცებს, რომ მასების მოქმედება არაცნობიერია, მასები ცნობიერებას მოკლებულნი არიან. როგორ შეიძლება საკუთარი



იდეების მქონე, გაცნობიერებული მასები, რომლებიც თავიანთ იდეებს კარნახობენ საზოგადოებას, გამოაცხადონ არაცნობიერ ბრბოდ. მაგრამ იმდენად დიდია ლებონის სიძულვილი მასების მიმართ, იმდენად ძლიერია მასში არისტოკრატიული სანყისი, რომ ყოველივე ხალხიდან მომდინარე, კრიზისის ნიშნად მიაჩნია. ლებონი კარგად ხედავს, რომ მასების ძლიერება დაუძლეველია და რომ არაფერს შეუძლია ისტორიის უკან დაბრუნება, რომ მასების წინააღმდეგ "ყოველგვარი მსჯელობა ფუჭია". და მაინც წუნუნებს წარსულ დიდებაზე და ისტორიის მსვლელობას მიუღებლად მიიჩნევს. ლებონის ეს თვალსაზრისი შემდგომ განვითარებას ორტევა გასეტის "მასების ამბოხში" პოვებს, ლებონის აზრით, ის არის პირველი, ვინც გააცნობიერა მასების ახალი როლი და ე.წ. ბრბოს ფსიქოლოგიის თეორია შექმნა. თუმცა მის შრომას წინ უსწრებდა იტალიელი მოაზროვნის სიგელეს ნაშრომი - "დამნაშავე ბრბო". ლებონს მიაჩნია, რომ სიგელემ ბრბოს მხოლოდ ერთი დანაშაულებრივი ფორმა გააშუქა. "უეჭველია, არსებობს დანაშაულებრივი ბრბო, მაგრამ არის აგრეთვე კეთილშობილი, გმირული და მრავალი სხვა ფორმის ბრბო. ბრბოს დანაშაულებანი მისი ფსიქოლოგიის მხოლოდ კერძო შემთხვევაა. ბრბოს სულიერი ორგანიზაციის გაგება მხოლოდ მისი დანაშაულის შესწავლით შეუძლებელია, ისევე როგორც რომელიმე პიროვნების დახასიათება მისი ნაკლოვანებების შესწავლის გზით".

## 7. სოციალურ ცვლილებათა ახსნის ორი გზა

ლებონის მიზანია, ახსნას ის მასობრივი მოძრაობა, რომელიც XX საუკუნემ, სოციალურ გადატრიალებათა დიადმა ეპოქამ წარმოშვა, როდესაც ასპარეზზე გამოდიან პროლეტართა მასები და მათი აქტიურობა წარსულ ეპოქებთან შედარებით ყველაზე დიდი მამოძრავებელ ძალად იქცა. ამ საუკუნის კულტურის გამაზრებელნი ერთი ძირითადი მიზნით არიან დაკავებულნი, ახსნან მასობრივი მოძრაობის მოვლენები, რომლებმაც დასაბამი მისცეს რევოლუციათა ეპოქას და ეს ახსნა მასობრივ მოძრაობათა დახასიათების, მათი ბუნების გარკვევის ნიშნით მიმდინარეობს. ამ მოძრაობის ბუნების ახსნაში ორი საპირისპირო თვალსაზრისია: ერთი მას მიიჩნევს ბრბოს ირაციონალურ, ანტიინტელექტუალურ, ინსტიქტურ, სტიქიური ძალების ალტყინების შედეგად და ქმნის ბრბოს თეორიას, იძლევა მასების ფსიქოლოგიის განხილვის ტრადიციის საპირისპიროდ ახალ მიმართულებას ავლენს და არსებითად ამით ეყრება საფუძველი ახალ დისციპლინას, რომელსაც შემდეგ "სოციალური ფსიქოლოგია" ეწოდა. ლებონი იყო ერთ - ერთი პირველი, ვინც ამ მეცნიერების ძირითადი ცნებების გააზრება მოახდინა. ამავე დროს, მისი მსოფლმხედველობა, მისი სოციალური ფსიქოლოგია მასობრივ მოძრაობას უარყოფით მოვლენათა რიგში აქცევს. არსებითად ის ცნებას, რომლითაც იგი მასას ახასიათებს, ბრბოს სახით, უკვე მასობრივი მოძრაობისადმი მის



პოზიციას აჩვენებს. ბრბოს თუ მასის ფსიქოლოგიის დახასიათება მთელ მის მსოფლმხედველობას უარყოფითი პრედიკატებით განსაზღვრავს.

ლებონის თვალსაზრისით, მასობრივი მოძრაობანი და ის, რომ იდეები ეუფლება მასებს ტრაგედიაა. იგივე საპირისპირო გააზრებათა ციკლში დაკავებულია იმათ სახელთან, ვისთვისაც ეს პროცესი სწორედ ისაა, რაც ჯერარსულია, რადგან სოციალურ ცხოვრებაში ძველი ახლით უნდა შეიცვალოს რევოლუციის გზით, რევოლუციის წარმმართველნი კი მასები არიან. რაც უფრო კრიტიკულია მასა, რაც უფრო ფართოდ ჩაებმება ის მოძრაობაში, მით უფრო დადებითად ფასდება შესაბამისი ეპოქა. ეს ორი საპირისპირო ტენდენცია აისახა მარქსის "წმინდა ოჯახში", სადაც ის დაუპირისპირდა ძმები ბაუერების კრიტიკული აქტიური პიროვნებისა და არაკრიტიკული პასიური მასის თეორიას, მარქსის აზრით, რაც უფრო მასობრივია მოძრაობა, მით უფრო ამაღლებულია ისტორია. მასობრივ მოძრაობათა გააზრებაში ეს ორი ხაზი გრძელდება XX საუკუნეშიც, რომელიც უფრო მძაფრია რევოლუციური ქარტეხილებით, ვიდრე მისი წინამორბედი და, რომელშიც ეს ორი საპირისპირო ტენდენცია მკაფიო გამოვლენას პოულობს ერთი მხრივ ორტევა გასეტის "მასების აჯანყებაში", დოსტოევსკის "ამბოხში", "ძმები კარამაზოვებში", კამიუს "აჯანყებულ ადამიანში", რისმანისა და ფრომის "ეულ ბრბოში" და ექსისტენციალისტების "მანში". მათი საერთო ნიშანია მასობრივ მოძრაობათა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა. ამის საპირისპიროა მასობრივ მოძრაობათა მარქსისტული გააზრება, რომლის მიხედვითაც პიროვნება მასის ნაწილია მხოლოდ და მხოლოდ და ყველა სოციალური მოძრაობის განმსაზღვრელი და წამმართველი ძალა მასაა, ხალხი ქმნის ისტორიას. ეს ორი საპირისპირო ინტერპრეტაცია ერთსა და იმავე მოვლენებს ეხება, მხოლოდ სხვადასხვანაირად ესმით ისინი. მარქსიზმის ამოსავალია მტკიცება, რომ იდეები მატერიალურ ძალად იქცევა როგორც კი მასებს დაეუფლება, ამიტომ ცდილობს ეს იდეები გაავრცელოს მასებში, "აღზარდოს მასები". საწინააღმდეგო მიმართულების აზროვნებას ამოდის მტკიცებიდან, რომ იდეები მასების მამოძრავებელია, რომ "იდეის სოციალური მნიშვნელობის შესაფასებლად უკეთესი საზომი არ არსებობს, თუ არა მისი გონებაზე ბატონობა" და "როდესაც ჭეშმარიტი, ან მცდარი იდეა მასაში გრძნობად იქცევა, მაშინ გამოვლინდება მისგან გამომდინარე ყველა შედეგი".

ლებონის თეორიის კრიტიკა ზოგჯერ არასწორი მიმართულებით წარიმართება. ასე მაგალითად, ანდრეევას "სოციალურ ფსიქოლოგიაში" ნათქვამია, რომ ლებონი ელიტისა და მასების მიმართებას, შესაბამისად მასების ფსიქოლოგიას, აგებს პანიკის ვითარების ანალიზზე და პანიკის მდგომარეობაში მოქმედებას ავრცელებს მასის ყველა სახის მოქმედებაზე. ეს მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან მასის ფსიქოლოგიის შესწავლისას ლებონს პანიკა საერთოდ არ უხსენებია და მისი თეორია პანიკის კონკრეტულ სიტუაციათა შესწავლას არ ემყარება. ლებონის მიზანია ახსნას მასობრივი მოვლენები, საჯაროობის ყოველგვარი



ფორმა, ბარბაროსული ბრბოებით დანყებული, მსაჯულთა და პარლამენტის წევრთა თავშეყრამდე და არცერთი სიტუაცია არაა პანიკის ფორმის. ლეონის მიზანია "ახსნას მასობრივი მოძრაობანი" და განსაკუთრებით რევოლუციები, ფაქტობრივად კი მოახდინოს მათი ღირებულების დევალვაცია, იმის მტკიცებით, რომ ეს უბრალოდ ბრბოს მოქმედებაა. ის ცდილობს, გაამართლოს რევოლუციის საწინააღმდეგო აქციები და რევოლუციას ბრბოს მოქმედების შედეგად აცხადებს. არც იმის მტკიცება მიგვაჩნია მართებულად, რომ ლეონის მასების ფსიქოლოგიას გავლენა არ მოუხდენია ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებაზე. თუ მოაზროვნის ცნებათა სისტემა მისი თეორიის შექმნის შემდეგ შედის აზროვნების აპარატში და მას ჰყავს მიმდევრები და გამგრძელებლები, ეს ნიშნავს, რომ მან მოახდინა გავლენა. ლეონის გავლენის მაჩვენებელია ორტეგა გასეტის "მასების ამბოხი", რომელშიც მასები ლეონისეული ცნების ძირითადი ნიშნებით ხასიათდება, ანალოგიურია რისმანის "ეული ბრბო" და ფრომის "გაუცხოებული ბრბოს თეორია", ისე როგორც მის მიერ აღწერილი "ადამიანის დესტრუქტივიზაცია". ხალხის სულის ლეონისეულმა თეორიამ მრავალ ერში პოვა გამოძახილი და მათ შორის ქართველებშიც. ქართული სულის შესახებ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა სხვადასხვა ინტენსივობით, განსაკუთრებით მწვავე იყო პოლემიკა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ოციან წლებში, ამ პერიოდში ქართულ სულზე იწერებოდა გამოკვლევები, რასაც საქართველოში მცხოვრები ფრანგი კუტანის წერილი ქართულ სულზე და მისი დანელიასეული შეფასება მოწმობს, ასევე კაპანელის მონოგრაფიები: "სული და იდეა", " ქართული სული ესთეტიკურ სახეებში", გამოკვლევა "ქართული კულტურა ორგანოტროპიზმის თვალთახედვით", პოლემიკა ნ. მიწიშვილისა, გრიგოლ რობაქიძესა და სხვებს შორის. ლეონის თეორიაში გაანალიზებულია პიროვნებისა და საზოგადოების, ელიტისა და მასის მიმართება. დახასიათებულია თითოეული კატეგორიის ძირითადი ნიშნები და სწორედ ამ ფენომენების როლის განსაზღვრებაში უნდა დავინახოთ ლეონის თეორიის მნიშვნელობა და მისი კრიტიკის გზაც.

ლეონის თეორიის კრიტიკაში ორი მომენტია გასათვალისწინებელი: ლეონის ნააზრევი, როგორც სოციალური ფსიქოლოგიის საწყისი და, მაშასადამე, სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების დაყენება და ლეონის ნააზრევის პოზიციის, შესაბამისად სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების მისეული გადაწყვეტა. თანამედროვე აზროვნება სოციალური ფსიქოლოგიის აუცილებლობას აღიარებს და ეს ბუნებრივია, რადგან მან უნდა ახსნას მასობრივი მოძრაობის ხასიათი, ამისთვის კი აუცილებელია მასების ფსიქოლოგიის მეცნიერული შესწავლა. სწორედ ამან განაპირობა ფსიქოლოგიით ნაკლებად დაინტერესებული მარქსის დიდი ყურადღება ამ საკითხისადმი, განსაკუთრებით, 1857-59 წლების ეკონომიკურ - ფილოსოფიურ ხელნაწერებში. სოციალური ფსიქოლოგიის დაფუძნების საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმო პლექსანოვმა. მისი კრიტიკული ანალიზის





საგანი ნაწილობრივ ლებონის თეორიის გავლენის ქვეშ მოქცეული ლაბრიოლას "ფაქტორების თეორია" გახდა, რომელშიც სოციალური მოვლენების გენეზისი „რასის განმსაზღვრელი როლის შესახებ ლებონისეულ თეორიას" ეფუძნება. პლესხანოვმა უარყო არა მხოლოდ რასის განმსაზღვრელი როლის დაშვება, არამედ რასის არსებობაც. როგორც იტყვიან, ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლა.

"გადავდივართ რა ისტორიულ ხალხებზე, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ მათ მიმართ სიტყვა რასა საერთოდ არ შეიძლება და არც უნდა იყოს ნახმარი. ჩვენ არ ვიცით არცერთი ისტორიული ხალხი, რომლისთვისაც შეგვეძლო გვეწოდებინა რასის ხალხი, თითოეულისხვადასხვა ეთნუკური ელემენტების უაღრესად ხანგრძლივი და მძლავრი ურთიერთშეჯვარებისა და შერევის ნაყოფს წარმოადგენს...

საზოგადოებრივი მეცნიერება უაღრესად ბევრს მოიგებს, თუ ჩვენ რასის ცუდ ჩვეულებად არ ჩავთვლით ყველაფერს, რაც გაუგებრად გვეჩვენება ამა თუ იმ ხალხის სულიერ ისტორიაში. შესაძლებელია, რომელიმე თვისებებს მართლაც ჰქონდათ ერთგვარი გავლენა ამ ისტორიაზე, მაგრამ ეს ჰიპოთეზური გავლენა, ალბათ, ისე განუზომლად მცირე იყო, რომ გამოკვლევის ინტერესებისათვის უმჯობესია იგი ნულის ტოლად ჩავთვალოთ და თავისებურებანი, რომელთაც ამა თუ იმ ხალხის განვითარებაში ვამჩნევთ განვიხილოთ, როგორც პროდუქტი იმ განსაკუთრებული ისტორიული პირობებისა, რომელშიც ეს განვითარება ხდებოდა, და არა როგორც რასის გავლენის შედეგი". (გ. ვ. პლესხანოვი, "ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ". გვ 33).

გუსტავ ლებონის თეორიის უპირველესი ნაკლი მისი არისტოკრატიზმია, მისი პოზიცია მასებისადმი სიძულვილს ემყარება, ამის გამოხატულება მასების ბრბოსთან, ხოლო მასობრივი მოძრაობის ცხოველურ, არაცნობიერ მოქმედებასთან გაიგივებაა.